# ლელო

№ 51
(11 303)

6 – 8 ივლისი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებულნი – დევენპორტი და სამპრასი (ორივე – აშშ)

სპორტულ ასპარეზში წარმატება და ეროვნული დროშით საპატიო წრის შემოვლა მხოლოდ სპორტული ასპარეზის დამაგვირგვინებელი რიტუალი როდია. ეს პატრიოტიზმის, საკუთარი ქვეყნის განდიდებისა და მისი სიძლიერის მთელი მსოფლიოს თვალწინ დემონსტრირებაა. ჩვენში სპორტისადმი სახელმწიფო დამოკიდებულებით ჯერ შორს ვართ ამგვარი აზრით დატვირთული რიტუალისგან.

## თვის მონაგარი

# ქართულ სპორტზე რომ ფუნქციონერებმაც ჩაიქნიონ ხელი, „მოგვისვენებთო" – იტყვიან სახელმწიფო ჩინოვნიკები.

მოდით, ივნისს, უპირველესად დიდი სპორტის გადასახედიდან მოვავლოთ თვალი. რა მოგვიტანა თიბათვემ და რას ველოდით? მოლოდინზე და დაგეგმილ მედლებზე, როგორც იტყვიან, უკაცრავად! ის დრო წავიდა. ადრე არც არაფერს მოგაკლებდნენ, მაგრამ არც შეგარჩენდნენ, მიიღე? იკისრე ვალდებულება – დაგეგმე მედალი და გაამართლე დანახარჯი. ახლა ეს ყველაფერი თავდაყირაა, სპორტი ფორმალურად რჩება სახელმწიფო ინტერესების რანგში. დღეს სამყოფს არც არაფერს იძლევიან, არც დაბეჯითებით გთხოვენ, გინდა თუ არა წადი ამა თუ იმ შეჯიბრებაზე და შინ წარმატებით დაბრუნდიო. გინდა წადი, გინდა ნუ წახვალ, სახელმწიფოსთვის სულ ერთია! მაგრამ თუ წასვლას გადაწყვეტ და დაფინანსების შესაძლებლობა გამონახე, კეთილი ინებე და გაამართლე კიდეც. დანახარჯზე მოთხოვნა რომ უცვლელია – გასაგებია. აი, ასეთი ცხოვრება დაგვიდგა და მართლა საოცარია, კიდევ როგორ ხერხდება, რომ ქართული სპორტი ასე თუ ისე ინარჩუნებს თავის სიმაღლეს. ყველაფერი შეფარდებითია, ამბობენ, ჰოდა, შეაფარდეთ. ქართული სპორტი მაინც ერთადერთია, რომელიც, სხვა დარგებთან შედარებით, ყველაზე მწირი დაფინანსებით, მაინც თავსდება საერთაშორისო სტანდარტებში. ვფიქრობთ, ეს ყველამ კარგად იცის. თუმცა, ქვეყნის სპორტულ მოძრაობაში, მისი ხელმძღვანელების სახელმწიფო სტრუქტურა „ჰოპლა" ჩვენ ვცოცხლობთ!" შეძახილის ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე უსახსრობის გამო სახელმწიფო დაკვეთას. ანდა, რომელ დაკვეთაზეა ლაპარაკი, იქ, ზემოთ, ჩინოვნიკებს სასაცილოდაც არ ეყოფათ სერიოზულად რომ ვინმემ დასვას ეს საკითხი. ესეც ცხოვრებამ მოიტანა. რა უნდა ქნას ასეთ „ჭრელო პეპელას" პრინციპით, ცხოვრებაც, უფრო სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ ათვალწუნებულმა ქართულმა სპორტმა და მისმა ხელმძღვანელობამ? ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ამ ხალხმა, თავიანთი ქვეშევრდომებით, ფედერაციების ჩათვლით, ერთ მშვენიერ დღეს კარი რომ გაიჯახუნოს, სახელმწიფოსგან მათ იმედად მიგდებული სპორტი მთლად განწირული აღმოჩნდება და, რაც უფრო გულსაკლავია, გლოვას არავინ დაიწყებს, განგაშს არავინ ატეხს. პირიქით, „მოგვისვენეთ ამ აბეზარი ხალხისგანო იტყვიან..."

ივნისის დასაწყისში, საკუთარი ფულით გაემგზავრა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირზე ირანში ჩვენი ნაკრები და შინ ბიჭები ათი მედლით (ოქრო – 3, ვერცხლი – 4, ბრინჯაო – 3) დაბრუნდნენ. ესტონეთის ტურნირზე კი ორი რჩეულ ფალავნის ემზარ ბედინეიშვილის და დავით ოთიაშვილის ხარჯები ორგანიზატორებმა თავად გაიღეს და ორივემ ოქროს მედალი დაიმსახურა. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კი კადეტთა საერთაშორისო ტურნირში ისახელეს თავი ჩვენმა ფალავნებმა. რაც ყველაზე მთავარია, სპორტის დეპარტამენტის დაფინანსებით, იუნიორთა (20 წლამდე) ევროპის ჩემპიონატში საქართველოს „კლასიკოსთა" ნაკრებმა 5 მედალი მოიგო (2 – ოქრო, 3 – ბრინჯაო). ეს წარმატება იმედის მომცემად მიიჩნიეს. შარშან, იმავე ჩემპიონატში, არც ერთი „ოქრო" არ მოგვიპოვებია. 20 წლამდე ასაკის ფალავნებს რიგაში ევროპის ჩემპიონატში (ისევ სპორტის დეპარტამენტის დაფინანსებით), 1 – ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი ხვდათ.

თბილისმა ივნისში უმასპინძლა მოჭიდავეთა ორ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს გივი კარტოზიას და ვახტანგ ბალავაძის პრიზზე.

სენსაციურ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა ჭაბუკმა წყალბურთელებმა. უკრაინის ღია პირველობაში მათი გამარჯვებით დამთავრდა II წრის შეხვედრები და თბილისის მერია, რომელიც გუნდს შეფობს, თუ კვლავ გამოიჩენს ყურადღებას ბიჭები შინ ალბათ ბოლო III ტურის შემდეგ უკრაინის ჩემპიონებად დაგვიბრუნდებიან. მისასალმებელია ჩოგბურთელ ირაკლი ლაბაძის გამარჯვება „როლან გაროსის" თასზე წყვილთა თანრიგში. მართალია, მაისმა მიითვალა, მაგრამ შინ ივნისის დასაწყისში დაგვიბრუნდა და ღირსეული პატივიც მიეგო ევერესტის დამპყრობ მეორე ქართულ ექსპედიციას გია თორთლაძის ხელმძღვანელობით.

ივნისში დასრულდა ვაჟ კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი. გაიმართა საქართველოს პირველობები და ტურნირები. მასობრივი სპორტისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის პირველი ნაბიჯები გადადგეს იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონებმა.

## თბილისის მერია – თვის საუკეთესო სპონსორი

**ჭაბუკ წყალბურთელთა გუნდი „ლაგუნა-ვერე" უკრაინის ღია ჩემპიონატში თბილისის მერიის ფინანსური დახმარებით გაემგზავრა. „ლელოს" რედაქციამ ეს ორგანიზაცია სცნო ივნისის საუკეთესო სპონსორად.**

## 5 წლის შედეგებით 26-ე ვართ

ცნობა უეფადან

უეფამ შეაჯამა ბოლო ხუთ საფეხბურთო სეზონში (1994/95-დან დღემდე) თავის წევრი-ქვეყნების კლუბების მონაგარი და წარმოგვიდგინა შესაბამისი რეიტინგი.

პირველ ადგილზეა, იტალია 57.212; მეორეზე – ესპანეთი 49.628, მესამეზე – გერმანია 45.498. საქართველოს 26-ე ადგილი ერგო – 12.166.

1998/99 სეზონში ჩვენ მხოლოდ 1.000 ქულა დავაგროვეთ. ყოფილი საბჭოელებიდან ყველაზე უკეთესი რეიტინგი აქვს რუსეთს – მე-7 ადგილი – 27.825. შემდეგ მოდის უკრაინა – მე-15 ადგილი – 20.291. შემდეგ კი, როგორც ვნახეთ, ჩვენ ვართ.

ყველაზე კარგი რეიტინგი საქართველოს ჰქონდა 1994/95 და 1996/97 სეზონში – 4.000-4.000 ქულა. ყველაზე უარესი 1995/96 სეზონში – 0.500.



მარცხნიდან: გიგი წერეთელი, ლადო კახაძე და მუხრან მდივანი

## დედაქალაქის ხელმძღვანელობა სპორტს უახლოვდება

ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ზარზეიმი, ჩვენში ტრადიციად იქცა. კარგი იქნება თუ ტრადიციად დამკვიდრდება ის ყურადღებაც, რაც იმ დღეს თბილისის მერიამ და დედაქალაქის ზოგიერთმა გამგებელმა გამოიჩინა.

იხ. მე-2 გვ.

## იტალიელთა სენსაცია



შეტევაშია მაიერსი

ევროპის საკალათბურთო გრანდების პაექრობა პირველობისათვის, საბოლოოდ იტალია – ესპანეთის ფინალურ შეხვედრამდე დაიწურა. ევროპის 31-ე ჩემპიონატის ეს ულამაზესი სანახაობა მრავალმხრივ იყო შთამბეჭდავი, მაგრამ ყველაზე უფრო მაყურებელს დაამახსოვრდა იტალიელთა შავკანიანი (წარმოშობით ინგლისელი) კალათბურთელი მაერსი და თბილისელთათვის კარგად ცნობილი ფუჩკა. ფაქტობრივად ამ ორმა მოთამაშემ მოიგო გადამწყვეტი მატჩი. მაერსმა 18 ქულა, ხოლო ფუჩკამ 10 ქულა შესძინა თავის გუნდს. ამასთან, ფუჩკამ 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. ეს პაექრობა იტალიელთა გამარჯვებით დასრულდა 64:56 (32:24). ფუჩკა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. ნახევარფინალში იტალიელებმა სძლიეს იუგოსლაველებს, ესპანეთმა – ფრანგებს.

ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში ყოფილმა ევროპის ჩემპიონმა იუგოსლავიის ნაკრებმა ჩემპიონატის მასპინძელი – საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა – 74:62 (33:26). საგულისხმოა, რომ მე-5 ადგილისათვის დავაში ლიტვის ნაკრებმა გამანადგურებელი ანგარიშით 103:72 (33:26) მოუგო რუსეთის გუნდს. შემდეგ მოდიან გერმანია – VII, თურქეთი – VIII, ისრაელი – IX და სლოვენია.

## ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯავახაძე



# სახელოვან ფალავანთა ნაკვალევზე

რევოლუციამდელი ქუთაისის საქალაქო პრესა საინტერესო მასალებს გვაწვდის ზემოხსენებულ ცირკთან დაკავშირებით. 1915 წელს ქუთაისს ეწვია სახელმოხვეჭილი ფალავანი ნესტორ ესებუა. იმ პერიოდში ნახევარ საუკუნეს გადაცილებული პოპულარული ფალავანი აღარ ჭიდაობდა, მოგზაურობდა საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებში. გაზეთ „სამშობლოში", რომელიც იმჟამად ქუთაისში გამოდიოდა, ვკითხულობთ.

„ქუთაისში, თეთრ ხიდთან, ცირკის ნამყოფ ადგილზე კავკასიის ცნობილი ფალავნის ნესტორ ესებუას გამგეობით გაიმართება ფრიად საინტერესო ხუთი წყვილი ჭიდაობა.

1. იჭიდავებენ ცნობილი არტემ ენუქიძე და ზესტაფონელი საშა ბეჟანოვი.
2. იჭიდავებენ ცნობილი ფალავნები დათიკო ჟღენტი და სერგო ჯაფარიძე.
3. იჭიდავებენ ცნობილი ამბროსი გოცაძე და ალ. ავალიანი.
4. იჭიდავებენ კოლია მაისურაძე და მიხაკო გორელი
5. იჭიდავებენ კ. ზაქარაია და პ. მასხარაშვილი"

ამ განცხადებაში ჩამოთვლილ მოჭიდავეთაგან უმრავლესობა ჩვენთვის უცნობია, ხოლო ნაწილს მხოლოდ ძუნწი მოგონებებით ვიცნობთ, ვერც საქალაქო თუ რესპუბლიკური პრესა გვაწვდის რაიმე მნიშვნელოვან საბუთსა და ცნობას მათ შესახებ. საინტერესოა, ვინ იყვნენ სერგო ჯაფარიძე და დათიკო ჟღენტი, ვინ ჭიდაობდა გორელის ფსევდონიმით ან ვინ იყვნენ არტემ ენუქიძე თუ ზესტაფონელი საშა ბეჟანოვი, ამბროსი გოცაძე და ალ. ავალიანი, მასხარაშვილი და სხვები.

1917 წლის მაისის პირველ დეკადაში ქუთაისს სტუმრად სწვევია ძმები ეფიმოვების ცირკი, რომლის მრავალფეროვან პროგრამაში მთავარი და საინტერესო საქვეყნოდ ცნობილ მანდილოსან ფალავანთა ტურნირი იყო: მაშინდელი საქალაქო გაზეთები „ჩვენი ქვეყანა" და „ჩვენი მეგობარი" ფრიად საინეტერსო ცნობებს გვაწვდის ქალთა ჭიდაობასთან დაკავშირებით.

გაზეთის – „ჩვენი ქვეყანა" 1917 წლის 24 მაისის ნომერში ვკითხულობთ: „ოთხი დღით საერთაშორისო ჩემპიონთა ფრანგული ჭიდაობა. დღეს იჭიდავებს სამი წყვილი.

I წყვილი, იტალიის, ჩემპიონი ქალი ბელანი, წინააღმდეგ ბელგიის ჩემპიონი ქალის დემატელისა.

II წყვილი, დენე ხერსის წინააღმდეგ ვინ ვის? ქალი რომანოვის, ჩემპიონი მთელი ქვეყნის – წინააღმდეგ შვეციის ჩემპიონისა ქალისა, აზელკ – ტოკისა.

III წყვილი, ლიტვის ჩემპიონი ქალი წინააღმდეგ თურქესტანის ჩემპიონ ქალისა სულეიმანისა".

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №42-44, 46

იხ. მე-2 გვ.


## ევროპის ყველა ჩემპიონატი



იხ. მე-5 გვ.

იუგოსლავია 1976



## დასასვენებლად გიხმობთ ბაკურიანის დასასვენებელი სახლები, კერძო სასტუმროები!

## სურამში გიწვევთ „საპოვნელა"

სურამის დედათა და ბავშვთა პანსიონატი ისევ ისე მიმზიდველი და კეთილმოწყობილია, როგორც ადრე იყო. შესანიშნავი, კომფორტაბელური ნომრები 2, 3 და 4 ადგილიანი, სანიტარული კვანძით, მწვანეში ჩაფლული ეზოთი. ბავშვებისათვის გასართობი მოედნებით და დანადგარებით. ფასი 1 სულზე 15 ლარი დღელამეში – სამჯერადი კვებით.
მისამართი: სურამი, დ. ალმაშენებლის 7. ტელ: 3-27-93. შეკვეთა მიიღება თბილისშიც. ტელ. 34-30-49.




**ლარის ოფიციალური კურსი 1 აშშ დოლარი – 1.93 თეთრი.**

# დედაქალაქის ხელმძღვანელობა სპორტს უახლოვდება





(პირველი გვერდიდან)

არაჩვეულებრივი ფიმნიშამდე არაფერი ყოფილა — სტარტი ვაკის პარკთან — ფინიში თავისუფლოების მოედანზე. გზადაგზა მორბენალებს კი სულ პატარები და ინვალიდები ემატებოდნენ. ოღონდ ეგაა, საზეიმო განწყობა რამდენადმე გააფერმკრთალა ზოგიერთი მწვრთნელისა და თვით მორბენალის საზრახისმა საქციელმა. ეტყობა, ჩვენში ადამიანის ფსიქოლოგიაში კვლავ რჩება თაღლითობით კეთილდღეობისკენ სწრაფვა, თორემ სხვა რით უნდა აიხსნას, რომ ზოგიერთმა მწვრთნელმა და მშობელმა მოზარდი ფინიშთან ახლოს ჩაასაფრა და შეუერთა მორბენალებს გამარჯვების იმედით. მაგრამ ერთმა და ორმა ზრდასრულმა მორბენალმაც რომ გივე იკადრა?

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და ფირმა „კოკა-კოლას" მიერ ორგანიზებული ეს მართლაც ულამაზესი ღონისძიება გასულ შაბათს მთელ საქართველოში გაიმართა. ყველა მონაწილეს გადაეცა საერთაშორიისო ოლიმპიური კომიტეტის დიპლომი და მაისური „კოკა-კოლას" წარწერით. გამარჯვებულებს და პრიზიორებს კი ფასიანი საჩუქრები ამასთან, პირველად გამოჩნდა მაისურები სეოკის საიუბილე 10 წლისთავის წარწერით. თბილისელთა გარბენში მონაწილეებს, განსაკუთრებით გამარჯვებულებს და პრიზიორებს არასდროს დავიწყებიათ ეს დღე, სხვათა შორის, სპორტის მუშაკებსაც, რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა თბილისში ჩატარებულ მასობრივ ღონისძიებაზე ვიხილეთ ქალაქის მერიის ხელმძღვანელობა. საკრებულოს თავმჯდომარემ ლადო კახაძემ, ვიცე-პრემიერმა მუხრან მდივანმა, თბილისის საკრებულოს მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა სეოკი-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონთან და თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროს ვლადიმერ კანკავასთან ერთად პირადად დააჯილდოვეს გამარჯვებულები და პრიზიორები.



— გთხოვთ ხაზგასმით აღნიშნოთ, რომ სამაგალითო და მისაბაძი დაინტერესება გამოიჩინა მთაწმინდის რაიონის გამგებელმა დავით ლვინიაშვილმა, საერთოდ ეს ხელმძღვანელი დიდი გულისხმიერებით ეკიდება სპორტის და მასობრივი სპორტის პრობლემის მოგვარებას — გვითხრა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსმა ნარგიზა მესხმა.

„ბუმათე" — „ლელო"

**სუმო** საქართველოს ღია ჩემპიონატი

# იაპონელ ოსტატებს დებიუტანტებმა სძლიეს

სუმოში საქართველოს პირველ ჩემპიონატში თვით ამ ჭიდაობის სამშობლო ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობა, ცხადია, დიდი პატივი იყო ჩვენთვის. საქართველოს ახალშექმნილმა ფედერაციამ (პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე) ყველაფერი იღონა, რომ ამომავალი მზის ქვეყნიდან მოწვეულ სტუმრებს გაეხალისებინათ ჩვენი ჩემპიონატი. მართალია, ისინი ჯერ პროფესიონალები არ არიან (სამივე სტუდენტი და მე-3 დანის მფლობელია), მაგრამ ჩვენთვის როგორც ახალდამწყებისთვის ნამდვილად შესაფერისი დონის, თუნდაც დანის, მეტოქეები იყვნენ სტუმრები. მათ სიძლიერეზე კი ისიც მკაფიოდ მეტყველებს, რომ თბილისში ჩამოსვლამდე იაპონელთა ამ სამეულმა 3:0 მოუგო რუსეთის ნაკრებს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ქართველებმა ძიუდოსი არ იყოს, სუმო იოლად გაითავისეს და აქ ალბათ ისევ და ისევ ქართული ჭიდაობის მადლმა იჩინა თავი. ჩვენმა ბიჭემა იაპონელი ოსტატები და მათი მწვრთნელი გააოცეს ორთაბრძოლების ეფექტურობით. გამარჯვება ჩვენებისთვის ძირთადად მოჰქონდა სწორედ ქართული ჭიდაობის ილეთების სუმოს ყალიბში მოქცევას. ის, რომ გუნდი — გუნდზე საქართველოს პირველმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ლევან ებანოიძე, ჯონდო დაბრუნდაშვილი და ლევან ალთუნიშვილი, ბევრის მეტყველია.

— ჩვენ მზად ვართ თამამად ჩავებათ ევროპის ჩემპიონატში, რომელიც წლეულს სექტემბერში ჩატარდება. პირველი ნაკრების სამეულს დაემატება გიორგი წმინდაშვილი, რომელიც ამჯერად ტრავმას იშუშებს — თქვა თ. რუხაძემ.

**კვარცხლბეკი.** ***85 კგ:*** 1. კობა ავსაჯანიშვილი, 2. კახა გოგეშვილი, 3. ივანე წივილაძე; ***115 კგ:*** 1. ხვიჩა ქობალია, 2. პაატა დადიანი, 3. ოთარ ელოშვილი; ***+115 კგ:*** 1. ლევან ებანოიძე, 2. ლევან ალთუნაშვილი, 3. ჯონდო დაბრუნდაშვილი; ***აბსოლუტური:*** 1. ებანოიძე, 2. მასიტო ჰირანო, 3. დაბრუნდაშვილი.

საერთაშორისო შეჯიბრება. გუნდი გუნდზე: სქართველოს II ნაკრები (გია პატარში, პაატა დადიანი, ხვიჩა ქობალია) — იაპონია (მასიტო ჰირანო, ტონაკო ტამახრო, ქება რიოჯი) — 3:0, საქართველოს I ნაკრები (ებანოიძე, დაბრუნდაშვილი, ალთუნიშვილი)— 3:0, საქართველოს I ნაკრები — საქართველოს II ნაკრები — 3:0.

ასპარეზების ყველაზე ხანდაზმული მონაწილე იყო 54 წლის დავით თოდრია, ყველაზე ახალგაზრდა 20 წლის ოთარ ელოშვილი.

ც. ბაქრაძე



იაპონელი სტუმრები



ქართველთა კვარცხლბეკი



ლევან ებანოიძე

**ტრადიციულად** ჭიათურის ამ ლამაზ მიდამოებში ტარდება მოსწავლეთა საქართველოს პირველობა მეკლდეურობაში. ამჯერად წარმატებისთვის იბრძოდნენ თბილისელი, ბათუმელი, ლენტეხელი, ქარელელი და წითელი ჯვრის საზოგადოების გუნდები. უსახსრობის გამო პირველობას გამოაკლდნენ მესტიელი მეკლდეურები. საინტერესოა, სხვა რომელ სპორტის სახეობაში აპირებენ მესტიელი ხელისუფლები სპორტსმენთა მივლინებას? იქ ხომ მეკლდეურობაში ყველაზე პერსპექტიული მოზარდები ჰყავთ. ნამდვილი სიურპრიზი იყო ძეგველთა ორი გუნდით მონაწილეობა. უველა სპორსტმენი ბავშვთა სახლიდან იყო, მით უფრო მისასალმებელია მათი გამოჩენა მამაცთა სარბიელზე (ხელმძღვანელი გიორგი კომახიძე). დებიუტანტმა ძეგველებმა საპრიზო ადგილებიც კი მოიპოვეს. ***ვაჟები. რთული ცოცვა:*** 1. ბაჩო მდივანი (თბილისი), 2. ვალერი ფერაძე (ბათუმი), 3. ალეკო დოლიაშვილი; ***სწრაფი ცოცვა:*** 1. მდივანი, 2. ავთანდილ ქურასპედიანი (ლენტეხი), 3. ფერაძე. ***გოგონები. უფროსი ასაკი. რთული ცოცვა:*** 1. ნატო ქათამაძე (ბათუმი), 2. ირინა ღვაჩლიანი (ლენტეხი), 3. თეონა კეჟენიძე (ბათუმი); ***სწრაფი ცოცვა:*** იგივენი, იგივე თანმიმდევრობით. ***უმცროსი ასაკი. რთული ცოცვა:*** 1. თამუნა დიდებულიძე (თბილისი), 2. მანანა ცინარიძე (ბათუმი), 3. ნატო ლიპარტელიანი (ლენტეხი); ***სწრაფი ცოცვა:*** 1. დიდებულიძე, 2. ხათუნა ქურასპედიანი (ლენტეხი), 3. ცინარიძე.

***საერთო გუნდური ჩათვლა:*** 1. თბილისი, 2. ლენტეხი, 3. ძეგვი.

ლელა შანშიაშვილი

# ისევ კაცხში...





მარჯვნივ: თბილისის მოსწავლეთა ნაკრები; მარცხნივ — ძეგვის ბავშვთა სახლის გუნდი.



# სახელოვან ფალავანთა ნაკვალევზე

(პირველი გვერდიდან)

იმ პერიოდში ქუთაისის ცირკის სტუმრები იყვნენ და მაყურებლებს თავიანთ ოსტატობას უჩვენებდნენ ცნობილი მანდილოსანი ფალავნები: ბალტიისპირეთის ჩემპიონი რობისტონი, პოლონეთის ჩემპიონი ანალამა, ციმბირის ჩემპიონი „სიბირიაჩკა", დანიის ჩემპიონი პეტერსონი და სხვ. ბუნებრივია, მათი შეხვედრები მუდამ ყურადღების ცენტრში იყო და ცირკსაც დიდძალი ხალხი აწყდებოდა, მითუმეტეს დიდი იყო ინტერესი მაშინ, როცა კაცი ქალს ერკინებოდა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, როგორი იყო მაშინდელი ჭიდაობის პირობები, რა ილეთებს იყენებდნენ მანდილოსნები და ასე შემდეგ. 1917 წლის 3 ივნისს გაზეთი „ჩვენი მეგობარი" წერდა: „ჩემპიონატის მე-12 დღეს კენჭისყრით ჭიდაობდა სამი წყვილი, I წყვილში რომანოვის ქალმა 14 წამის განმავლობაში ხერსით „ტურ – დე – ანშ" მოერია ანაცემას. მეორე წყვილში „წითელი მასკა" გამოვიდა ქალთა შორის ჩემპიონის რიურიკის წინააღმდეგ მასკა, როგორც ვხედავთ, შეცდა თავის ანგარიშში და ვერ გაამართლა თავისი იმედები: ეგონა ჩქარა გაიმარჯვებდა ქალთა მოჭიდავე რიურიკთან, მიუხედავად თავისი სიმპატიისა, რიურიკი ხშირად აყენებდა მასკას საშიშ და გასაჭირ მდგომარეობაში, მაგრამ მასკის პირაღმა დანარცხება ვერ შეიძლო თავის სიმჩატის გამო. დაუსვენებლივ ჭიდაობის 14 წამის შემდეგ (ალბათ 14 წუთის, — ზ.ჯ) მასკამ მოკრიბა მთელი თავისი დონე, გადაიყვანა რიურიკი პარტერში და ჩქარი ხერხით, მთელი ზურგით დაანარცხა მიწაზე.

მე-3 წყვილში სულეიმანი ადვილად გაუმკლავდა თავის მოპირდაპირე „სიბირიაჩკა"-ს ოთხ წამში მოერია მას. „მოჭიდავეთა შეხვედრები წინასწარი კენჭისყრით ეწყობოდა. საყურადღებოა, რომ ქალები ძლიერ მეტოქეობას უწევდნენ კაცებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „წითელი მასკა" შეხვდა რიურიკის ქალს. ქუთაისის სპორტულ მუზეუმში დაცული მასალებით ირკვევა, რომ „წითელი მასკის" სახელით ამ აქალქაში ჭიდაობდა ცნობილი ფალავანი, ევროპის ჩემპიონიი, ტიგანე, რომელიც ხშირად გამოდიოდა საჭიდაო სარბიელზე ქალების წინააღმდეგ.

ქუთაისის საქალაქო გაზეთ „ჩვენი ქვეყანას" 1917 წლის ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: სპორტი და სანახაობა, ძმები ეფიმოვების ცირკი, ქალთა საერთაშორისო ჩემპიონატის მე-10 დღე, 30 მაისი, პირველ წყვილში ჭიდაობდნენ ქ-ნი ანატემა და ქ-ნი სულეიმანი. ორივე მოწინააღმდეგე თანაბარი ტექნიკისა და დონის აღმოჩნდნენ, ფრიად საინტერესო იყო მე-2 წყვილი — წითელი ნიღბოსანი კაცი ქ. იანკევსკაიას (პოლონეთის ჩემპიონის) წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ წითელ ნიღბოსანს მდიდარი ტექნიკა აქვს და ღონიერი, გამოცდილი მოჭიდავეა, ქ-ნმა იანკოვსკაიამ ბევრჯერ გაუჭირვა საქმე მოწინააღმდეგეს, რადგან ქალი უფრო ხშირად სძლევდა ნიღაბოსანს. ყველას ეგონა, რომ იანვევსკაია გაიმარჯვებდა, მაგრამ მოულოდნელად ნიღაბოსანმა ტურდეტეტზე დაიჭირა. ამ ფანდს ვერ დააღწია თავი იანკოვსკაიამ და 11 წუთის ჭიდაობის შემდეგ წაქცეულ იქნა. საჭიროა მოხდეს რევანში ამ მოჭიდავეებს შორის, მე-3 წყვილში ქ-ნ აზელტოლკიმ (შვეცია) 4 წამში წააქცია ქ-ნი რობისტონი (პრიბალტიკის ჩემპიონი)".

როგორც პრესის ფურცლებიდან ირკვევა, კაცების შეხვედრა მანდილოსნებთან ხშირ შემთხვევაში მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა სასარგებლოდ მიმდინარეობდა და კაცებს გამარჯვება მხოლოდ დიდი გამოცდილების, ნებისყოფისა და დაძაბვის ფასად რჩებოდათ.

მოყვანილი მასალებიდან ირკვევა, რომ მამაკაცები ხშირად ეჭიდავებოდნენ მანდილოსნებს.

იმავე მასალებით გვრჩება შთაბეჭდილება, რომ თითქოს პროფესიონალ მოჭიდავეებს უჭირდათ ლამაზი სქესის წარმომადგენლების დამარცხება და ესოდენ ნანატრ გამარჯვებას ისინი მხოლოდ უკიდურესი დაძაბულობით აღწევდნენ. ეს, რა თქმა უნდა, არასწორი აზრია. ყველაფერი მაშინდელი ცირკის მეპატრონეების არცთუ დიდ ფანტაზიაზე და შორსმჭრეტელობაზე იყო დამოკიდებული. საქმე იმაშია, რომ ცირკს ფართოდ უნდა მიეზიდა მაყურებელი. ამას კარგი რეკლამა ჭირდებოდა და თუ წინასწარ ცირკის მეპატრონე მოჭიდავე მამაკაცს და მანდილოსანს დაითანხმებდა, რომ ეასპარეზათ საჭიდაო სარბიელზე, დანარჩენი უკვე წარიმართებოდა წინასწარი შედგენილი სცენარის მიხედვით, რა თქმა უნდა, სათანადო გასამრჯელოს ფასად. თავდაპირველად მანდილოსნები უტევდნენ მამაკაცებს, ხოლო ეს უკანასკნელნი დიდი შრომის და თითქოს ოფლის ღვრის ფასად აღწევდნენ გამარჯვებას. რა თქმა უნდა, მანდილოსნები რაც უნდა ძლიერი ყოფილიყვნენ, ვერაფერს გახდებოდნენ პროფესიონალი მოჭიდავეების წინაშე.

ქუთაისის ცირკის არენაზე „წითელი ნიღაბი" შეხვედრია სახელმოხვეჭილ მანდილოსნებს, მათ შორის, რუმინეთის ჩემპიონს დემეტრეს კოს, ევროპის ჩემპიონს რომანოვას, ცნობილი ფალავნის ნ. ვახტურევის დას ვახტუროვას და სხვ.

ქალთა სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ვახტურევა — მანკეს იანკოვსკაია — რიურიკის, ეზელტოვ-დემერელის, რომანოვა — რიურიკის, პეტერსენ—დემეტრესკოს და სხვათა ჭიდაობა.

თუ ვინ იმარჯვებდა აღნიშნულ ტურნირებში გამოურკვეველია, რადგან მაშინდელი პრესა თუ საარქივო მასალები ამის შესახებ დუმან; ჩვენი აზრით, ქუთაისსა და თბილისში ქალთა ტურნირებში უძლიერესად კვლავ მსოფლიო ჩემპიონი რიგელი ფრიდა დამბერგი ითვლებოდა, საყურადღებოა, რომ ფრიდა ქუთაისელთა ხშირი და სასურველი სტუმარი იყო.

იმ პერიოდში ქუთაისის ცირკის არენაზე უჭიდავნიათ ზაალიშვილს და ბაგრატ დაგეთელს, საშა ვერელს და გიორგი ჩქარეულს, სანიკიძეს და ვინმე რაჭველ ფალავანს.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ხშირი სტუმრები იყვნენ სახელმოხვეჭილი ფალავნები ალექსანდრე კახნიაშვილი (შაშო ვერელი), თბილისელთა საყვარელი ფალავნები გიორგი ოძიშვილი, ვანო მედური და სხვები.

ძლიერ მოჭიდავედ ითვლებოდა ქუთაისელი ალიოშა ფარულავა. ტანმაღალი, მოქნილი, ღონიერი ფალავანი წარმატებით გამოდიოდა ვლადიკავკაზში, ბაქოში, სოხუმში და, რა თქმა უნდა, მშობლიურ ქუთაისში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქუთაისის სპორტის მოყვარულთა შორის თბილისელი ფალავანი სანიკიძე, საქალაქო გაზეთ „სამშობლოში" ვკითხულობთ: „დღეს იჭიდავებს გამოჩენილი თბილისელი წაუქცეველი მოჭიდავე სანიკიძე".

(დასასრული იქნება)

# კოპალეიშვილის შეგირდები გზას გაუყვნენ

სანამ ქართული კლუბები ევროტურნირებში ჩაებმებიან, უმთავრესი მოვლენა ჩვენთვის, რა თქმა უნდა, 18 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი იქნება, რომელსაც შვედეთი უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ამ ასაკობრივ კატეგორიაში საქართველოს ნაკრები პირველად იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ჩვენები გუშინ გაემგზავრნენ გერმანიაში, სადაც შეკრებას გაივლიან, ხოლო 12 ივლისს ტურნირის მასპინძელ ქვეყანას ეწვევიან. ნაკრების თავკაცმა ვახტანგ კოპალეიშვილმა შემდეგ ფეხბურთელებს უხმო: **მეკარეები** — გრიგოლ ბედიაშვილი („გორდა“), ზურაბ ბათიაშვილი („დინამო“ — თბ.); **მცველები** — სოსო დევიძე („მერანი“), ზურაბ მენთეშაშვილი („სკონტო“), ედიკ საჯაია, ვალერი აბრამიძე (ორივე — თბილისი), ოთარ ხიზანეიშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი (ორივე — „დინამო“ თბ.), ჯაბა მუჯირი („ვიტ-ჯორჯია“). **ნახევარმცველები** — დავით დიღმელაშვილი („სამსურსპორი“), ოლეგ გველესიანი („თბილისი“), ლაშა ნოზაძე („ვიტ-ჯორჯია“), ლადო ბურდული („თბილისი“). **თავდამსხმელები** — გია იმედაძე („ტორპედო“), ვალერიან გაგუა, გიორგი მიქაძე, რევაზ გოცირიძე (სამივე — „თბილისი“), ლევან კორღალიძე „სკონტო“).

სამწუხაროდ, გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდება ფავორიტი ლაშა ჯაკობია („სტანდარტი“). შეკრებაზე ვახტანგ კოპალეიშვილი ვერ იახლებს თბილისელ დინამოელებს — ხიზანიშვილი და ხიზანეიშვილი ხომ კლუბთან ერთად შეკრებას ბელგია-ჰოლანდიაში გადიან და „დინამო“ მათ მხოლოდ ნაკრების შვედეთში ჩასვლისას გამოუშვებს.



ტურნირში 8 საუკეთესო გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. მასში საუკეთესონი ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ, მეორე ადგილოსნები კი მესამე ადგილისათვის. გთავაზობთ მატჩების განრიგს.

**A ჯგუფი**
შვედეთი
საფრანგეთი
საბერძნეთი
პორტუგალია.

**B ჯგუფი**
ირლანდია
ესპანეთი
იტალია
საქართველო

18.07 შვედეთი — საფრანგეთი
პორტუგალია — საბერძნეთი
19.07 ესპანეთი — ირლანდია
საქართველო — იტალია
20.07 შვედეთი — პორტუგალია
საფრანგეთი — საბერძნეთი
21.07 ესპანეთი — იტალია
საქართველო — ირლანდია
22.07 საბერძნეთი — შვედეთი
პორტუგალია — საფრანგეთი
23.07 საქართველო — ესპანეთი
იტალია — ირლანდია
25.07 მატჩი მესამე ადგილისათვის
26.07 ფინალი



## COPA AMERICA
## პარაგვაი-99
მეორე ტური

**A ჯგუფი**

**პარაგვაი — იაპონია 4-0**
1-0 ბენიტესი (19), 2-0, სანტა კრუსი (40), 3-0 ბენიტესი 4-0 (68), სანტა კრუსი (86).

**პერუ — ბოლივია 1-0**
სუნიკა (87)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერუ | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| პარაგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| ბოლივია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

**B ჯგუფი**

**ბრაზილია — მექსიკა 2-1**
1-0 ამოროზო (18), 2-0 ალექსი (45), 2-1 ტერასასი (73).

**ჩილე — ვენესუელა 3-0**
1-0 სამორანო (5), 2-0 სიერა (20), 3-0 ტორტოლერო (65, ავტოგოლი).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 9-1 | 6 |
| ჩილე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| მექსიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| ვენესუელა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-10 | 0 |

**C ჯგუფი**

**ეკვადორი — ურუგვაი 1-2**
0-1 ზალაიეტა (72), 0-2 ზალაიეტა (73), 1-2 კავიედესი (78).
არგენტინა — კოლუმბია 0-3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| ურუგვაი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| არგენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

*ფიფას ახალი პრეზიდენტის ახალ იდეებს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა საფეხბურთო სამყაროში. იოზეფ ბლატერის, როგორც ფიფას თავკაცის, პიონერულ მოსაზრებებს ბევრი არ უჭერს მხარს, ბევრს უჭირს მის რეფორმატორულ კურსთან შეგუება — აქამდე, ფიფას კონსერვატიულობას რაიმე ჩრდილი არ მიადგესო. ჩვენ კი ჩავთვალეთ, რომ უაღრესად საინტერესო იქნებოდა მკითხველისთვის გაგვეცნო ცნობილი ინგლისელი საფეხბურთო მიმომხილველის, World Soccer-ის რედაქტორის ქირ რადნეჯის მიერ დანახული და გაანალიზებული ბლატერი და მისი იდეები.*

# კომენტარი პრეზიდენტის თემაზე

ზეპ ბლატერისთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია საერთო საერთაშორისო კალენდრის შემუშავება. ის ამ პროექტს განიხილავს, როგორც ერთ-ერთ ძირითადს ახალი ათასწლეულისათვის. „ერთიანი კალენდრის შემოღებით ფეხბურთის მართვის სისტემა მეტად დაიხვეწება, აღმოიფხვრება წინააღმდეგობები კლუბებსა და ეროვნულ ფედერაციებს შორის, ფეხბურთელები ნაკლები რაოდენობის მატჩებს ითამაშებენ, რაც ფეხბურთს უფრო მიმზიდველს გახდის გულშემატკივრისთვის და ტელევიზიაც იძულებული შეიქნება მატჩების ტრანსლაციებისათვის უფრო დიდი თანხა გადაიხადოს“ — ამბობს ბლატერი.



ცხადია, მას მიაჩნია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ორ წელიწადში ერთხელ ჩატარებას არაფერი უშლის ხელს, მაგრამ ბლატერის ენთუზიაზმი არ არის აქცენტირებული ამ იდეაზე დოგმასავით, როგორც ეს ბევრს მიაჩნია. მისი პოზიცია კი ასეთია: შესაძლოა, როდესმე ეს განხორციელდეს. მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების სისტემის შეცვლა მისი მთავარი მიზანი სულაც არ არის. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბლატერი გულხელდაკრეფილია. ჩემთან საუბრისას მან მითხრა: „ჯერ კიდევ 1994 წელს ფიფამ განიხილა საერთო საერთაშორისო კალენდრის შემოღების შესაძლებლობა, მაგრამ ეს საკითხი მაშინ გადავდეთ, მას შემდეგ, რაც გავპრეზიდენტდი, უფლება მაქვს ეს გეგმა პირველხარისხოვან ამოცანად დავსახო ფიფასთვის. გვსურს ყველამ შეისმინოს, რომ რეგიონალური ჩემპიონატების არჩატარება ფეხბურთზე ცუდად იმოქმედებს. ყველა კონფედერაციის ჩემპიონატები ერთ და იმავე დროს უნდა ჩატარდეს — აი, ეს უნდა გაკეთდეს პირველ რიგში. ამისათვის აუცილებელია ფიფას ყველა წევრი ქვეყანა რაღაც დათმობებზე წავიდეს. ყველაფერი ეს რეალობაა და უეფაც მხარს უჭერს ამ იდეას. წლეულის მიწურულს საამისო პროექტი უკვე ხელთ გვექნება, რომელსაც გაისად წარვადგენ განსახილველად ფიფას კონგრესზე“.

ბლატერისთვის უაღრესად აუცილებელია რეგიონალური ჩემპიონატების ჩატარების გარდაქმნა-გადახალისება, რაც პირველ რიგში უნდა მოხდეს ევროპაში, სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში. მისი აზრით, რეგიონალური ჩემპიონატები უნდა გაიმართოს ლუწ წლებში, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატი — კენტში. ბლატერის გეგმებში შედის კონფედერაციათა თასის გათამაშების გაუქმებაც, რომელიც წელსაც ჩატარდება მექსიკაში ივლისის ბოლოს. ბლატერი უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს ის აიძულებს ეროვნულ ფედერაციებს მათ ჩემპიონატებში მონაწილე გუნდების რიცხვი 16-მდე ან 18-მდე შემცირდეს და ჩემპიონატები თებერვლიდან ნოემბრამდე ჩატარდეს. ასეთი ჭორები პანიკას თესავს ევროპულ საფეხბურთო ჩინოვნიკებში, თანაც განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ მათი ფავორიტი ლენარტ იუჰანსონი ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა ბლატერთან. „მე მხოლოდ ის განვაცხადე, რომ 16 გუნდი ოპტიმალური იქნებოდა ყველა ეროვნული ასოციაციისათვის, რადგან ამით მატჩები შემცირდება და ფეხბურთელებსაც ძალების აღდგენის უკეთესი საშუალება მიეცემათ. ფიფას და მე არ შეგვიძლია ეს ვაიძულოთ ეროვნულ ასოციაციებს, ამ იდეას თავს არავის ვახვევ. თუ საერთო საერთაშორისო კალენდარს დავაფუძნებთ, მაშინ ეს საკითხიც თავისთავად მოგვარდება — იქ, სადაც 16-ზე მეტი გუნდია, ფეხბურთელებს ორი-სამი მატჩის ჩატარება მოუწევთ კვირაში თუ საერთო კალენდარს შემოვიღებთ, რაც, ვფიქრობ, სულაც არ მოეწონებათ მოთამაშეებს. ჩვენ არავისზე არ ვბრძანებლობთ, ჩვენ მხოლოდ ვურჩევთ“ — ამბობს ზეპ ბლატერი.

როგორც ჩანს, ფიფას პრეზიდენტმა კარგად აუღო ალღო თავის საქმეს. გაპრეზიდენტებიდან პირველ ხანებში კი მას ემჩნეოდა, რომ იუჰანსონზე გამარჯვების გამო ეიფორიაში იმყოფებოდა, როდესაც მან ხმების უმრავლესობა აფრიკის, აზიისა და ამერიკის წარმომადგენლებისგან მიიღო. ამ კონტინენტის ქვეყნებმა ჟოაო აველანჟის მიერ ფიფას 24-წლიანი დიქტატორული მართვის პერიოდში საკმაო გამორჩენა ნახეს და ბუნებრივი იყო, რომ მის მარჯვენა ხელს მისცეს ხმები. ალბათ მთავარი ის უნდა იყოს, რომ ბლატერმა „ახალი ფიფა“ შექმნას. მას კი ჯერ კიდევ თან სდევს ძველი აჩრდილი, რაც ბლატერს ინგლისელმა მწერალმა დევიდ იალოპმა შეახსენა თავის წიგნში მეტად ხმამაღალი სათაურით — „ფიფა და მასმედია: როგორ მოგვპარეს მათ თამაში“. წიგნი შეიცავს ბევრ, ჯერჯერობით არაუარყოფილ ფაქტებს კორუფციაზე, რომლებიც ძირითადად აველანჟს ეხება. ზეპ ბლატერმა ამის თაობაზე შვეიცარიისა და ჰოლანდიის სასამართლოებს მიმართა თხოვნით, დაედოთ ვეტო ამ წიგნის გაყიდვაზე ან ამოეღოთ 16 თავი, სადაც ბლატერის აზრით ცრუ ფაქტებია მოყვანილი. ყველაზე სკანდალური მხილებები კი ამ წიგნში ეხება ბლატერის გაპრეზიდენტებას და ბილეთების რეალიზაციის საეჭვო სისტემას საფრანგეთი-98-ის მატჩებზე. „მივმართე რა სასამართლოს, ამით ირიბად ვიმოქმედე ამ წიგნის გამოსვლაზე. ეს არაპატიოსანი თამაშია და მე უნდა დამეცვა ჩემი თავი და ფიფა როგორც მორალურად ისე ეთიკურადაც. თუ მწერალს რაიმე დასამტკიცებელი საბუთები გააჩნია ჩემი და ფიფას კომპრომიტირებისთვის, მაშინ ისინი საზოგადოებრიობის სამსჯავროზე უნდა გამოიტანოს“ — ამბობს ბლატერი და შეკითხვაზე, თუ რატომ არ შექმნა ფიფამ სპეციალური კომისია, საამისოდ შემდეგნაირად პასუხობს: „ახლა, როცა საქმე იურიდიულ სამსახურებს გადაეცა ფიფა უძლურია რაიმე იმოქმედოს. საქმე სასამართლოშია და წიგნის ავტორმა ან უნდა დაიმტკიცოს ბრალდებები ან წიგნიდან უნდა ამოიღოს ის ადგილები, სადაც მადანაშაულებს. მოკლედ, მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებს დაველოდოთ“.

აი, ასეთია ჰაპანი, რომელსაც ბლატერი სწევს. მას სურს ფეხბურთში ყველაფრით წარმოაჩინოს თავი: როგორც თავკაცმა და როგორც ბეჯითმა მშრომელმა, როგორც რეფორმატორმა და როგორც დიქტატორმა — ეს მას სჭირდება, რათა ფეხბურთმა შეინარჩუნოს თავისი პოზიცია, როგორც ნომერ პირველმა სპორტმა მსოფლიოში და ასე უნდა იყოს მომავალ ათასწლეულშიც.

## რუსეთი. ეროვნული ჩემპიონატი. XIV ტური

სპარტაკი — დინამო 2-2, ცსკა — ლოკომოტივი 1-0, ზენიტი — კრილია სოვეტოვი 3-1, ტორპედო — ლოკომოტივი ნ.ნ. 3-2, როტორი — ჟემჩუჟინა 0-0, ჩერნომორეცი — ურალანი 0-0, შინიკი — ალანია 1-1 (სტუმართაგან გოლი გიორგი დემეტრაძემ გაიტანა 11-მეტრიანით).

ლიდერობენ: სპარტაკი (40), ლოკომოტივი მ. (29), ცსკა (29), ტორპედო (28), ალანია (24).

ბომბარდირები: დემეტრაძე (ალანია), ტიხონოვი (სპარტაკი) — 11-11; ვერეტენიკოვი (როტორი) — 8; ტერიოხინი (დინამო) — 7.

# ალექსანდრე ბლაგიძე: „დამერწმუნეთ, იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება!“

მთელი საჭადრაკო სამყარო აღნიშნავს მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონ ტიგრან პეტროსიანის დაბადებიდან 70 წლისთავს. მოსკოვში გაიმართა პეტროსიანის მემორიალი, ეწყობა ლექციები, პრესა დიდ ადგილს უთმობს ჩემპიონის კოლეგებს, მეგობრებს.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს არაერთგზის ჩემპიონსა და ცნობილ მწვრთნელს ალექსანდრე ბლაგიძეს. მისი სამწვრთნელო სტაჟი ლამის 60 წელს მიუახლოვდეს. ბლაგიძესთან მეცადინეობდნენ ოსტატები გურამ კალატოზიშვილი, გივი გამრეკელი, ემილ მიქაელიანი, ჭადრაკის ისეთი დიდი მოყვარულები, როგორიც არიან ცნობილი ქართველი დიპლომატი ალექსანდრე ჩიკვაიძე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, კომპოზიტორი და პიანისტი ნოდარ გაბუნია, აკადემიკოსი ნიკოლოზ ვახანია, პროფესორი გულბათ ტორაძე და მრავალი სხვა.

დღევანდელი საუბარი კი მხოლოდ და მხოლოდ, ასე ვთქვათ, ბლაგიძის მთავარ მოწაფეზე, ტიგრან პეტროსიანზე იქნება.

— პეტროსიანი თავდაპირველად ცნობილ ოსტატ არჩილ ებრალიძესთან მეცადინეობდა, ეს მრავალ წიგნშია აღწერილი და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ებრალიძე თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საჭადრაკო წრეს ხელმძღვანელობდა, მაგრამ ერთ დღეს გაანთავისუფლეს. არ იკითხვთ, რაზე? ლავრენტი ბერიას ბიუსტს ხელი მოატეხა! კიდევაც იოლად გადარჩა. ასე იყო თუ ისე, მისმა მოწაფეებმა ჩემთან დაიწყეს სიარული. მე თვითონაც ძალზე ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ეტყობა დიდი დაკვირვება არ უნდოდა იმას, რომ პეტროსიანს განსაკუთრებული საჭადრაკო ნიჭი ჰქონდა, ჭადრაკს მთელ თავის დროს ანდომებდა, უფრო სწორად, იმ დროს, რაც მეეზოვის მოვალეობის შესრულების შემდეგ რჩებოდა. დიახ, დედ-მამა დაეხოცა და ძმაც ომში დაკარგა. იძულებული გახდა მამის ნაცვლად მეეზოვე თვითონ გამხდარიყო, იმ ეზოში, რუსთაველის პროსპექტზე ყოფილ ოფიცერთა სახლს რომ ეკვრის. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იქვე თითქმის მიწურ ოთახსაც ჰკარგავდა, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა.

ამასობაში იგი უკვე ძლიერი ოსტატობის კანდიდატის ძალით თამაშობდა, უკვე ბევრი ვინმე იცნობდა, საქართველოსა და თბილისის ჩემპიონატში თამაშობდა, მაყურებლებიც და გულშემატკივრებიც ჰყავდა.

ერთი სიტყვით, დავტრიალდი. უნდა მიმეღწია იმ ოთახის შენარჩუნებისათვის, რომელიც მაინცდამაინც მეეზოვისთვის იყო განკუთვნილი. აი, სწორედ ამაზე ამბობდნენ ძველი რომაელები: „კანონი უვარგისია, მაგრამ მაინც კანონიაო“. ძალიან დამეხმარნენ მაშინდელი ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ხელმძღვანელები, უფრო მაღალი ინსტანციებიც, რაც არ უნდა იყოს, სასტიკი ომი მიმდინარეობდა. ბოლოს გავიმარჯვეთ: მეეზოვის თანამდებობა კი დატოვა, მაგრამ ის ოთახი მაინც შეინარჩუნა.



მსოფლიო ჩემპიონები ნონა და ტიგრანი ბილიარდშიც სცდიდნენ ძალებს

ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებოდით ერთმანეთს, ბევრს ვმეცადინეობდით. ტიგრანი 1945 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდა, 1946 წელს რესპუბლიკის მეტად ძლიერ ჩემპიონატში, რომელშიც კონკურსგარეშე დაუვიწყარი პაულ კერესი, ჩვენი მეგობრები ვლადას მიკენასი და ევგენი ზაგორიანსკი მონაწილეობდნენ, მას ჩვენი მოჭადრაკეებიდან მხოლოდ არჩილ ებრალიძემ გაასწრო. ეს 17 წლის ყმაწვილისათვის უდიდესი წარმატება იყო.

შემდეგ ერევანში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ იქ საჭადრაკო წინსვლისათვის არავითარი პირობები არ იყო. არც იქაურ წამყვან მოჭადრაკესთან ჰენრიხ კასპარიანთან გამოვიდა ურთიერთობა. ერთმანეთს სისტემატურად ვწერდით წერილებს. ვგრძნობდი, რომ კიდევ ერთხელ უნდა „დავტრიალებულიყავი“.

მაშინ მოსკოვის სპორტულ წრეებში ბევრი მეგობარი მყავდა. იმდენი მოვახერხე, რომ სპორტსაზოგადოება „სპარტაკში“ საჭადრაკო მწვრთნელად მიიღეს, 1000 მანეთი ხელფასი დაუნიშნეს „აქედან 250 მანეთს ერთ პატარა კუთხეში ვიხდი, რომელიღაც კაცთან“ — მწერდა.

კეთილ ადამიანებს რა გამოლევს! ცნობილმა საერთაშორისო ოსტატმა ფეოდორ დუზხოტიმირსკიმ თავისთან

იხ. მე-6 გვ.

UEFA INTERTOTO CUP

**მეორე რაუნდი**

ქილინა (სლოვაკეთი) — მეცი (საფრანგეთი) 2-1
არარატი (სომხეთი) — სენტ ტრუიდენი (ბელგია) 0-2
ცემენტარნიცა (მაკედონია) — როსტსელმაში (რუსეთი) 1-1
ვენსპილსი (ლატვია) — ქოჯაელისპორი (თურქეთი) 1-1
ბრანი (ნორვეგია) — ვარტექსი (ხორვატია) 3-0
ყარაბახი (აზერბაიჯანი) — მონპელიე (საფრანგეთი) 0-3
ქსამაქსი (შვეიცარია) — ვაშაში (უნგრეთი) 0-2
ლოკერენი (ბელგია) — აკრანესი (ისლანდია) 3-1
პერუჯა (იტალია) — პობედა (მაკედონია) 1-0
ბაზელი (შვეიცარია) — ბობი (ჩეხეთი) 0-0
ჩახლაული (რუმინეთი) — იედინსტვო (ბოსნია) 2-1
იოკერიტი (ფინეთი) — ფლორიანა (მალტა) — 2-1
ჰამარბი (შვედეთი) — გომელი (ბელარუსი) 4-0
დუისბურგი (გერმანია) — ნიური (ჩრდ. ირლანდია) 2-0
რუდარი (სლოვენია) — ლუშტენაუ (ავსტრია) 1-2
კოპენჰაგენი (დანია) — პოლონია (პოლონეთი) 0-3

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## კარლო ანჩელოტი: გვინდა უძლეველი გუნდი შევქმნათ!

**იტალიის შარშანდელმა ჩემპიონმა, ტურინის „იუვენტუსმა“ წელს არნახული მარცხი განიცადა. ჩემპიონთა ლიგას ვინ ჩივის, უეფას თასის საგზურიც კი ვერ მოიპოვა და ... ინტერტოტოს თასის გათამაშებაში ჩაება! რაც, არა გვგონია, სეზონის დასაწყისში ერთ ადამიანს მაინც წარმოედგინა. მარჩელო ლიპი კარლო ანჩელოტიმ შეცვალა. შეძლებს კი იგი კლუბის უმძიმესი კრიზისის დაძლევას? მოგვყავს რამდენიმე ნაწყვეტი „იუვენტუსის“ მწვრთნელის ბოლო ინტერვიუდან.**


ანჩელოტი

● *კარლო, ალბათ, უკვე წარმოდგენილი გაქვთ ახალი გუნდის კონტურები. იგი გაკმაყოფილებთ?*

— იმით, თუ როგორ მიდის მოთამაშეთა ყიდვის პროცესი, კმაყოფილი ვარ. ზოგი მათგანი, ვისი ყიდვაც მინდოდა, უკვე შევიძინეთ. სხვებთანაც რაიმე ექსცესი არ უნდა იყოს. ერთი სიტყვით, შეშფოთების საბაბი არა მაქვს.

● *ჩვენთან გადმოვიდნენ ვან დერ სარი, ძამბროტა და კოვაჩევიჩი. ეს მართლაც სერიოზულად გააძლიერებს გუნდს?*

— უცნაური კითხვაა, აბა სხვა რისთვის მოვიწვევდით?

● *დიახ, მაგრამ რისთვის დაგჭირდათ უცხოელი მეკარე?*

— ვან დერ სარი, ჩემი აზრით, მსოფლიოს საუკეთესო მეკარეების პირველ ხუთეულში შედის. მას ყველაფერი აქვს: კლასი, ტალანტი, გამოცდილება. ჰოლანდიელი ყველა იმ მოთხოვნას აკმაყოფილებს, რასაც თანამედროვე გოლკიპერს უყენებენ.

● *რაც შეეხება კოვაჩევიჩის მოწვევას, ეს, როგორც ცნობილია, პირადად თქვენი წინადადებით მოხდა. რას შესძენს სერბი „იუვენტუსის“ წინა ხაზს?*

— პირველ რიგში გაბედულებასა და შემართებას, რომელიც ამ სეზონში ნამდვილად გვაკლდა. მას შეუძლია შეადგინოს წყვილი როგორც დელ პიეროსთან, ისე ფილიპო ინძაგისთანაც, თუ საჭირო იქნება, ორივესთან ერთადაც. ერთი სიტყვით, იგი ძალზე საჭირო მოთამაშეა. ველი, რომ იტალიაშიც ისეთივე მშვენიერ ფეხბურთს გვაჩვენებს, როგორსაც ესპანეთში, „რეალ სოსიედადში“.

● *ძამბროტა?*

— იგი ამ სეზონის ერთ-ერთი თვალსაჩინო აღმოჩენა იყო. შვენივრად გაიხსნა „ბარიში“. დინო ძოფმა „სკუადრა აძურას“ შუა ხაზზე მიიწვია. ესეც ხომ რაღაცას ნიშნავს.

● *ის, რომ ინძაგისთან კონტაქტი განახლდა, დაასრულებს გაუთავებელ ლაპარაკს მისი გუნდიდან წასვლის შესახებ. პიპო, როგორც მახსოვს, ძალინ ღელავდა, რახან მისი მდგომარეობა გაურკვეველი იყო. ახლა დამშვიდდა?*

— ყველანი დავმშვიდდით. ძალიან კარგია, რომ დარჩა. ეს ყველას უნდოდა, პირველ რიგში კი მე.

● *ახლა რაღა აკლია „იუვენტუსს“?*

— ამაზე ვერაფერს გეტყვით. ვინ ამჟღავნებს თავის საიდუმლოებებს?

● *ალბათ გუნდს შეემატებიან ცენტრალური მცველი, ცენტრალური ნახევარმცველი და ერთი თავდამსხმელი. ასახელებენ ფრანგ ჯუტას...*

— რას გააწყობ თქვენთან, ჟურნალისტებთან. ისედაც ყველაფერი იცით.

● *არ გაშფოთებთ ძალიან ძლიერი კონკურენცია სხვა სუპერკლუბების მხრივ სატრანსფერო ბაზარზე?*

— სწორია, ახლანდელი სატრანსფერო ბაზარი მართლაც უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. თითქოს ყველა გადაირიაო, ისეთი გაცვლა ხდება. ყველა იმით არის დაინტერესებული, როგორ გააძლიეროს მაქსიმალურად თავისი გუნდი. სინამდვილე კი ასეთია: იტალიის ჩემპიონის წოდება ხომ ერთია. ყველა დანარჩენი კი საბოლოოდ წაგებული დარჩება.

● *ამ მხრივ „იუვე“ პასიურად ხომ არ გამოიყურება?*

— 90 მილიარდი ლირა დავხარჯეთ და ეს მაინც იმას ნიშნავს, რომ მეტი თანხა უნდა გაგვეღო. ის კოლოსალური ფული მაქვს მხედველობაში, რომელიც ჩვენმა კონკურენტებმა არ დაინანეს. მაგრამ ჩვენი მიზანი სხვაა: გუნდის შინაგანი მუშაობა ისე გარდავქმნათ, რომ მეტი შედეგი მივიღოთ. გვინდა ისეთი გუნდი შევქმნათ, რომელიც ყველას დაამარცხებს.

● *ხომ არ გაგაოცათ ვიერის გადასვლამ „ინტერში“?*

— დღევანდელი ფეხბურთი ისეთია, რომ მისგან ყოველდღიურად სიურპრიზებს უნდა ელოდე. რა თქმა უნდა, ვიერი „ინტერისათვის“ პირველხარისხოვანი შენამატია.

● *„ინტერში“ გადავიდნენ აგრეთვე ერუცი, პანუჩი, იუგოვიჩი, დომორო. ხომ არ ფიქრობთ, რომ „ინტერი“ მარჩელო ლიპის ხელმძღვანელობით გაცილებით უფრო ძლიერად ითამაშებს, ვიდრე წინა სეზონში?*

— შეიძლება. მაგრამ ზაფხულის ლაპარაკი არაფერს ნიშნავს. თუ ძლიერი ხარ, ეს მინდორზე უნდა დაამტკიცო.

● *შეგვიძლიათ მსოფლიოში უძლიერესად მივიჩნიოთ „ინტერის“ თავდამსხმელთა წყვილი: ვიერი — რონალდო?*

— თეორიულად, თუ ამ მოთამაშეთა ღირსებებს გავითვალისწინებთ, შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ ყველაფერი მინდორზე გამოჩნდება. უნდა გავითვალისწინოთ თანაგუნდელების მხარდაჭერაც, რომლის გარეშე ძნელია რამეს მიაღწიო.

● *შეძლებს თუ არა „ლაციო“ აინაზღაუროს ის დანაკლისი, რომელიც ვიერის დაკარგვით მიიღო?*

— ხომ გავიგოთ, როგორი იქნება „ლაციო“, ცოტა უნდა მოვიცადოთ. რომაელებს ხომ ჯერ ყველა ის მოთამაშე არ უყიდიათ, ვისი შეძენაც სურთ.

● *რას იტყვით თქვენს ყოფილ კლუბზე — „პარმაზე“, სადაც რამდენიმე ძლიერი თავდამსხმელი მივიდა: აპია, დი ვაიო და თვით ამოროზოც კი, ბოლო სეზონის საუკეთესო სნაიპერი?*

— „პარმა“ თავდასხმის ხაზზე ისედაც ძალიან ძლიერი იყო. წარმომიდგენია როგორი ძლიერი გუნდი ეყოლება მალესანის შემდგომ სეზონში. აქვე უნდა ვთქვა, რომ კრესპო — ამოროზოს წყვილი თავისი პოტენციალით სულ მცირედით თუ ჩამოუვარდება „ინტერის“ დუეტს ვიერისა და რონალდოს შემადგენლობით. შეიძლება, საერთოდაც არ ჩამოუვარდება.

ახლა ბირჰოფი — შევჩენკო „მილანში?“ ვინ იტყვის, რომ იგი უარესია?

● *ახალი სეზონიდან იტალიის თასის მატჩებს, მერვედფინალიდან მოყოლებული, ორი მთავარი არბიტრი წარუძღვება. რას იტყვით ამის შესახებ?*

— ყველას უნდა ნახოს, რა გამოვა აქედან. ჩვენც ვნახოთ. მაგრამ ვფიქრობ, ამ ექსპერიმენტის შემოღებით, ცოტათი იჩქარეს. ერთი არბიტრი, თუკი იგი კარგია, თამაშს მშვენივრად გაუძღვება.

● *მინდა გავიგო თქვენი აზრი ერთ საკითხზეც: ფრანგმა ემანუილ პეტიმ, მას შემდეგ, რაც გამწარდა რუსეთთან წაგების გამო, თქვა, რომ ფეხბურთელებს ბოლო წლებში აიძულებენ ძალიან ბევრი ითამაშონ. ქანცს აცლიან. ისინი, ვინც ასეთი რიტმით 5 წელს მაინც ატარებენ, დილემის წინაშე დგებიან: ან გამოფიტვის გამო თამაშს თავი დაანებონ, ანდა, თუკი კვლავ ადრინდელ დონეზე დარჩნენ, დოპინგი მიიღონ.*

— ის, რომ ფეხბურთელები ძალიან ბევრს თამაშობენ, სრული სიმართლეა. ეს თამაშის ხარისხის გაუარესებასა და სანახაობითი მხარის დაკარგვას იწვევს. თამაშების რაოდენობის ასეთი გაზრდისას ყველაზე საუკეთესო კლუბიც ყოველთვის მაღალ დონეზე ვერ ითამაშებს. ამიტომაც კლუბები იძულებული ხდებიან გაზარდონ მოთამაშეთა შტატი. ის, ვისაც უნდა, რომ ქვეყნის ჩემპიონატშიც კარგად გამოვიდეს და ჩემპიონთა ლიგაშიც, არსებითად, ვალდებულია ორი ძლიერი შემადგენლობა ჰყავდეს.

● *და ბოლოს, შვებულებაში კმაყოფილების გრძნობით მიდიხართ თუ რაღაცა გაღელვებთ?*

— დამშვიდებული ვარ. ყველაფერი ისე მიდის, როგორც საჭიროა. „იუვენტუსი“ საჭირო მოთამაშეებს ეძებს. დარწმუნებული ვარ, მონახავს კიდეც.

მოამზადა ბივი თორელმა.


„იუვენტუსი“ — „უდინეზე“. პიერინისა (№23) და ინძაგის ორთაბრძოლა.

## ლორენცო ამოროზოს ორი მიზანი

შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ „გლაზგო რეინჯერსს“, რომელიც წელს უკვე 47-ედ გახდა შოტლანდიის ჩემპიონი, ძალზე დიდი საერთაშორისო ამბიციები აქვს. მოვუსმინოთ მის კაპიტანს, იტალიელ ლორენცო ამოროზოს.

● *ლორენცო, თავს როგორ გრძნობთ „რეინჯერსის“ კაპიტნის როლში?*

— ძალიან გამიკვირდა, როცა კაპიტნად ამირჩიეს. სულ ორი წელია, რაც „რეინჯერსში“ ვთამაშობ, სხვებს, მაგალითად, იორგ ალბერცს (გერმანია) კაპიტნობის არანაკლები უფლება ჰქონდათ. ამით ვამაყობ, რადგანაც „რეინჯერსი“ დიდი კლუბია და მას მთელ მსოფლიოში კარგად იცნობენ.

● *„რეინჯერსი“ ინტერნაციონალური გუნდია (აქ 12 ქვეყნის წარმომადგენლები თამაშობენ — რედ.). როგორ გესმით ერთმანეთისა?*

— მინდორზე ინგლისურად ვსაუბრობთ და ჯერჯერობით ყველაფერი გასაგებია. გასახდელში კი ზოგი ფრანგულად ლაპარაკობს, ზოგიც იტალიურად. ჩვენთან შეიძლება საუბარი ესპანურ, ჰოლანდიურ, გერმანულ, ფინურ ენებზეც მოისმინოთ. ეს ჩვენ სულაც არ გვიშლის ხელს ერთიანი გუნდი ვიყოთ.

● *კლასის თვალსაზრისით ძალიან დიდია განსხვავება „რეინჯერსსა“ და შოტლანდიური კლუბების უმეტესობას შორის? როგორ ფიქრობთ, როგორი შესაძლებლობა გექნებოდათ, ვთქვათ, ინგლისის ლიგაში რომ გეთამაშათ?*

— დიახ, ნამდვილად გვირჩევნია იქ თამაში. როცა ძლიერი გუნდის წინააღმდეგ თამაშობ, სწრაფად იზრდები. შოტლანდიაში კი (აქ 10 კლუბი 4 წრედ თამაშობს) მთელ სეზონში, ბევრი, ბევრი 10 მატჩია, სადაც იძულებული ხარ სრული ძალით ითამაშო. მაგრამ არ მინდა იმაზე ვილაპარაკო, ღირს თუ არა ინგლისის ლიგაში გადასვლა. აქ მრავალი სხვა ფაქტორიც მოქმედებს.

● *ნებისმიერ შემთხვევაში, „რეინჯერსის“ გულშემატკივრები თქვენგან ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლას ელიან.*

— ვფიქრობ, იმედებს არ გავუცრუებთ. 1998-99 წლების სეზონში „ბაიერნისა“ და „პარმას“ წინააღმდეგ დავამტკიცეთ კლასი, ამ ზაფხულს კი გუნდის შემადგენლობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. გავითვალისწინეთ „პარმასთან“ დამარცხების გაკვეთილები. იტალიელები ჩვენზე ძლიერები არ იყვნენ, მაგრამ ცოტა უფრო თავდაჭერილად მოქმედებდნენ. ჩემპიონთა ლიგაში რევანშის აღების შესაძლებლობა გვექნება.

● *რა მიზნები გაქვთ ფეხბურთში?*

— მინდა „რეინჯერსის“ შემადგელობაში ჩემპიონთა ლიგაში გავიმარჯვოთ. იტალიის ნაკრებში თამაშით კი მსოფლიო ჩემპიონი გავხდე.


„რეინჯერსი“ — „სელტიკი“. როდ უოლესის (ცენტრში) მეორე გოლი სტუმრების კარში

## ჯერჯერობით ითამაშებს

9 ივნისს ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში ინგლისელების წინააღმდეგ ხრისტო სტოიჩკოვი ნაკრებს კი გამოეთხოვა, სადაც 12 წელი გაატარა, 83 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 37 გოლი გაიტანა, მაგრამ ეს ფეხბურთისათვის თავის დანებებას არ ნიშნავს. ახლა სტოიჩკოვი კვლავ თამაშობს იაპონიის ლიგაში, „კაშივა რეისოლის“ შემადგენლობაში.

## შოტლანდიელებს კონკურენტი არა ჰყავთ

უეფამ შეაჯამა სამართლიანი თამაშის პრიზ „ფლეირ-პლეის“ შედეგები. ამ მხრივ ყველა ევროპულ ქვეყანასთან შედარებით საუკეთესო შედეგები შოტლანდიელებს აქვთ. სწორედ მათ დაიკავეს პირველი ადგილი და ჯილდოს სახით უეფას თასზე დამატებითი ადგილიც მოიპოვეს. იგი კლუბ „კილმარნიკს“ გადაეცა, რომელიც ამ მხრივ შოტლანდიურ გუნდებში ყველაზე უფრო გამოირჩეოდა.

## „ინტერმა“ ყველაფერი მომცა“

36 წლის ჯუზეპე ბერგომიმ 22 სეზონი (!) გაატარა მილანის „ინტერში“ და მას მხოლოდ ამ სეზონის დამთავრების შემდეგ გამოეთხოვა.

— ამ კლუბში ჩემი ცხოვრების უმეტესი დრო გავატარე. „ინტერმა“ მომცა ყველაფერი — ოსტატობა, ფული, სახელი, ამიტომ ყველაფრისთვის მადლობას მოვახსენებ.

თუ რას აპირებს შემდეგში ბერგომი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

## სპეციალისტები გაიფანტნენ

როგორც მოსკოვის „ფუტბოლის“ ერევნელი კორესპონდენტი წერს, ბევრმა ცნობილმა სომეხმა სპეციალისტმა ვერ გაუძლო სპორტის მოხელეთა „პრესინგს“ და სხვა ქვეყანაში გადასვლა არჩია.

გამოჩენილი ფეხბურთელი და მწვრთნელი ედუარდ მარქაროვი ახლა ბეირუთში (ლიბანი) მუშაობს, ლევონ იშტოიანი აშშ-ში თავის მიერ დაარსებულ საფეხბურთო სკოლას ხელმძღვანელობს, აქვეა „არარატის“ ყოფილი ფეხბურთელი სერგეი ბონდარენკოც. ხორენ ოჰანესიანი კარგა ხანს მუშაობდა ლიბანის ერთ-ერთ სომხურ კლუბში. ყველაზე მეტ წარმატებას მაინც ნაზარ პეტროსიანმა მიაღწია, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და ქვეყნის ნაკრების გენერალური დირექტორის პოსტი უკავია.

## „სედანმა“ არ ისურვა

1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატში რუსი თავდამსხმელი ოლეგ სალენკო ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი იყო. შემდეგ „ვალენსიაში“ თამაშობდა, ბოლოს თურქეთის „ისტამბულსპორში“ გამოდიოდა. 1997 წელს მუხლის მძიმე ტრავმის შემდეგ კინაღამ საერთოდ დაანება თავი ფეხბურთს.

ამ დღეებში წინასწარი მოლაპარაკების შედეგად სალენკო სასინჯ შეკრებაზე იყო საფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბ „სედანში“. გარიგება არ შედგა — „სედანმა“ არ ისურვა რუსი ვეტერანის შეძენა.

## მართლაც სასაცილო ამბავია

სამი წლის წინათ კიევის „დინამომ“ თვით შესთავაზა ხიხონის „სპორტინგს“ თავისი საუკეთესო თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო და მასში სამი მილიარდი ლირა მოითხოვა. ესპანელებმა ჩათვალეს, რომ მათ ძალიან დიდ თანხას თხოვდნენ და ტრანსფერი არ შედგა.

ახლა, როცა „მილანმა“ დაძლია მადრიდის „რეალის“, „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ კონკურენცია და შევჩენკო სწორედ მას დარჩა, იტალიის ჩემპიონმა გადაიხადა... 40 მილიარდი ლირა (25 მილიონი დოლარი).

# ევროპის ყველა ჩემპიონატი

**იუგოსლავია 1976**

## მეკარე ვიქტორის ბრწყინვალე თამაშით...

მე-5 ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 32 ქვეყნის ნაკრებმა, ისინი გაერთიანდნენ რვა შესარჩევ ჯგუფში, საიდანაც გამარჯვებული გადიოდა შემდეგ ეტაპზე. შესარჩევი თამაშების შემდეგ ასპარეზობას გამოეთიშნენ ისეთი ქვეყნის ნაკრებები, როგორიცაა: ინგლისი, უნგრეთი, იტალია, საფრანგეთი. შესარჩევი თამაშების შემდეგ, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, შემდგომ ეტაპზე გავიდნენ: პირველი ჯგუფიდან ჩეხოსლოვაკია (ინგლისის ნაკრები ვერ მოხვდა), მეორედან — უელსი; მესამედან — იუგოსლავია; მეოთხედან — ესპანეთი; მეხუთედან — ჰოლანდია (იტალია ვერ მოხვდა); მეექვსედან — ბელგია (საფრანგეთი ვერ მოხვდა); მეშვიდედან — სსრკ; მერვედან — გფრ.

***პირველად*** ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში და უკანასკნელად, როცა სსრკ-ს ნაკრების ღირსებას არც შესარჩევ და არც ფინალურ სტადიაში არ იცავდა არც ერთი ***ქართველი*** ფეხბურთელი. მაშინ კიევის „დინამო" იყო ნაკრების საბაზო გუნდი და ნაკრები მთლიანად კიეველი ფეხბურთელებით დაკომპლექტდა.

მეოთხედფინალში გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ:

***სსრკ — ჩეხოსლოვაკია.*** პირველი შეხვედრა პრაღაში გუნდებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს: სსრკ: პროხოროვი, რეშკო, ზვიაგინცევი, ფომენკო, მატვიენკო, ლოვჩევი (ვერემეევი); კოლოტოვი, კონკოვი, ტროშკინი, ონიშჩენკო (ნაზარენკო), ბლოხინი.

***ჩეხოსლოვაკია:*** ვიქტორი, დობიაში, ი. ჩაპკოვიჩი, ონდრუში, გიოგი, მიოდერი (კნაპი), პოლაკი, პანენკა, პეტრაში (კროუპა), ნეჰოდა.

მატჩი წარიმართა ჩეხოსლოვაკიელთა უპირატესობით, რაც ანგარიშშიც აისახა — (2-0), გაიმარჯვეს ჩეხმა ფეხბურთელებმა, ანგარიში შეხვედრის 34-ე წუთზე გახსნა მიოდერმა, პროხოროვის შეცდომას გოლი მოჰყვა. მეორე ნახევრის დასაწყისში პანენკას საჯარიმო დარტყმამ მიზანს მიაღწია — 2-0. ასე დამთავრდა პირველი შეხვედრა. განმეორებითი მატჩი ჩატარდა კიევში, რომელშიც სსრკ-ს ნაკრებმა ვერ შეძლო იმ ორი ბურთის დეფიციტის აღმოფხვრა. პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთზე მიოდერმა საჯარიმო დარტყმით, დაახლოებით 25 მეტრიდან გახსნა ანგარიში. მეორე ნახევრის დასაწყისში (53 წთ) ბურიაკმა გაათანაბრა იგი, ხოლო შეხვედრის დასასრულისათვის ისევ მიოდერმა წინ გაიყვანა ჩეხები. მხოლოდ შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ბლოხინმა გაათანაბრა ანგარიში — 2-2 და ორი მატჩის ჯამში ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა.

***ესპანეთი — გფრ***

შეხვედრის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა ესპანელთა უპირატესობით და 21-ე წუთზე სანტილიანამ გაიტანა გოლი. მაგრამ შემდეგ გამოიკვეთა გერმანელთა უპირატესობა, ფიზიკურ მომზადებაში, რამაც ასახვა ანგარიშში ჰპოვა — ბეერმა ანგარიში გაათანაბრა — 1-1. ასე დამთავრდა პირველი შეხვედრა, რომელშიც გერმანელთა შემადგენლობა ასეთი იყო: მაიერი, ფოგთსი, დიტცი (რეიჰელი), შვარცენბეკი (კულმანი), ბეკენბაუერი, ბონჰოფი, ვიმერი, ბეერი, დანერი, ვორმი, ჰოლცენბაინი.

განმეორებითი მატჩი გფრ-ის ნაკრების უპირატესობით წარიმართა და უკვე შეხვედრის მე-17 წუთზე ჰიონესმა მიიღო ფოგთსის გადაცემა და გახსნა ანგარიში, ხოლო ტაიმის დასასრულს ბეკენბაუერის მორიგი სოლო რეიდის შემდეგ ესპანელთა მეკარემ მოიგერია ბურთი, მაგრამ ყველას დაასწრო დიტერმიულერმა და დააფიქსირა მატჩის საბოლოო ანგარიში 2-0. გფრ-ის ნაკრები ნახევარფინალშია.

***იუგოსლავია — უელსი.*** იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა ეს მატჩი ჩაატარეს შემდეგი შემადგელობით: პეტროვიჩი, ბულიანი, ჰაჯიაბდიჩი, ობლაკი, კატალინსკი, მუჟინიჩი, პოპივოდა, აჩიმოვიჩი, შურიაკი, ვუკოტიჩი (ერკოვიჩი), ვაბეცი.

შეხვედრის 25-ე წამზე აჩიმოვიჩის ჩაწოდების შემდეგ ვუკოტიჩმა ბურთი კარში გაგზავნა. ამის შემდეგ იუგოსლაველთა უპირატესობა აშკარა იყო და შეხვედრის 54-ე წუთზე პოპივოდამ გაზარდა ანგარიში. საბოლოოდ 2-0 გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა.

განმეორებითი შეხვედრის მე-18 წუთზე პოპივოდას წაქცევისათვის დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც გამოიყენა კატალინსკიმ. შეხვედრის მე-40 წუთზე უელსელმა ევანსმა გაქვითა ანგარიში, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე უკვე იუგოსლაველთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, მაგრამ უელსელთა კაპიტნის იორატის დარტყმა მოიგერია მეკარე მარიჩმა, საბოლოოდ ფრე — 1-1. ორი მატჩის ჯამში იუგოსლავიის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა.

***ჰოლანდია — ბელგია.*** ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობა: შრივერსი, სურბიერი, რიისბერგენი, ვან კრაი, კროლი, ნეესკენსი (პიტერსი), ვანდერ კერხოფი, იანსენი, რეპი, კრუიფი, რესენბრინკი.

შეხვედრა მიმდინარეობდა ჰოლანდიელთ აშკარა უპირატესობით. მე-17 წუთზე კრუიფის გადაცემით რიისბერგენმა გაიტანა გოლი, ამის შემდეგ რესენბრინკმა ორჯერ — 28-ე და 58-ე წუთებზე აიღო მეტოქის კარი, შემდეგ ნეესკესმა 11-მეტრიანით ოთხამდე აიყვანა ანგარიში, ხოლო მატჩის დასასრულს კრუიფის პასით რესენბრინკმა მე-5 ბურთი გაიტანა და შეასრულა „ჰეთ-თრიკი". საბოლოოდ — 5-0.

ისევე, როგორც პირველ მატჩში, განმეორებით შეხვედრაში იმარჯვეს ჰოლანდიელებმა. შეხვედრის დასაწყისში ნეესკენსმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი. შეხვედრის 27-ე წუთზე ბელგიელმა ვან გულმა დააწინაურა ბელგიელები — 1-0. მაგრამ მეორე ნახევარში ჯერ რეპმა 64-ე წუთზე კრუიფის მოწოდებით გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 78-ე წუთზე თვითონ კრუიფმა გაიტანა გამარჯვების გოლი.



ევროპის 1976 წლის ჩემპიონი ჩეხოსლოვაკიის ნაკრები (მარცხნიდან, მეორე): ონდრუში, ვიქტორი, დობიაში, იოზეფ ჩაფკოვიჩი, მასნი, მიოდერი, შვეგლიკი, პივარნიკი, პანენკა, ნეჰოდა, გიოგი.




მატჩის ძირითადი დროის უკანასკნელ წუთზე ჰოლცემბაენმა გაათანაბრა ანგარიში. ვიქტორმა წამით დაიგვიანა...

***ნახევარფინალი.***

ჩეხოსლოვაკია — ჰოლანდია 3-1 (დ.დ.)

მატჩის წინ ჰოლანდიელთა მწვრთნელმა კნობელმა გამოაცხადა შემადგენლობა, რომელშიც კარში ადგილი არ მოიძებნა ვეტერან იონგბლანდისათვის, ამიტომ კრუიფმა, ნეესკენსმა, ვან ჰანეგენმა, პროტესტის ნიშნად განაცხადეს, რომ არ ითამაშებდნენ. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მხარი მწვრთნელს დაუჭირეს და იმავე საღამოს პრაღაში ჩაფრინდა ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი და შეარიგა მწვრთნელი და ფეხბურთელები, მაგრამ თამაშში ჰოლანდიელთა რიგებში არ იყო ერთსულოვნება. შეხვედრა მიმდინარეობდა დაძაბულ, ზოგჯერ უხეშ ორთაბრძოლებში. მე-19 წუთზე პანენკას ჩამოწოდებული ბურთი ონდრუშმა თავით გაგზავნა ჰოლანდიელთა კარში. მე-60 წუთზე უელსელმა მსაჯმა ტომასმა მოედნიდან გააძევა ჩეხი პოლაკი. ამის შემდეგ გეელსის დარტყმა მოხვდა ონდრუშს და ბურთი რიკოშეტით გავიდა ჩეხთა კარში — 1-1. შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მსაჯმა გააძევა ნეესკენსიც. შეხვედრის ძირითადი დრო 1-1. დამატებით ტაიმში 114-ე წუთზე ნეჰოდას თავურმა დარტყმამ მიაღწია მიზანს 2-1. ამის შემდეგ მინდორი დაატოვებინეს ვან ჰანეგემს და ჰოლანდიელები 9-ნი დარჩნენ და დამატებითი დროის ბოლო წუთზე ვესელიმ მესამე ბურთი შეაგდო, ამრიგად, 3-1 და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები პირველად გავიდა ფინალში.

***გფრ — იუგოსლავია 4-2 (დ.დ.)***

ეს ნახევარფინალიც დაძაბული ბრძოლით გამოირჩეოდა. ყველა აღნიშნავდა ფოგთსი-ჯაიჩის ორთაბრძოლას, შეხვედრის პირველ ნახევარში ჯაიჩი გამოიყურებოდა უკეთესად, ხოლო შემდეგ ფოგთსმა მოუძებნა „გასაღები" მის თამაშს და უვნებელჰყო იგი. ანგარიში გაიხსნა მე-19 წუთზე პოპოვიდას დარტყმის შემდეგ. პირველივე ნახევარში მაიერის შეცდომის შემდეგ ჯაიჩმა გაზარდა ანგარიში 2-0. ასეთი დაწყება ნებისმიერ გუნდს გამოიყვანდა მწყობრიდან, მაგრამ არა გერმანელთა ნაკრებს, რომელიც თავისი ლიდერის ბეკენბაუერის მეთაურობით შეუპოვრად განაგრძობდა თამაშს. უპირატესობას თანდათან ეუფლებიან გერმანელები. შიონმა თამაშში შეიყვანა ფლოგი, რომელმაც შეხვედრის 64-ე წუთზე შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ამის შემდეგ კიდევ ერთი შეცვლა და მინდორზე გაჩნდა ახალგაზრდა დიტერ მიულერი, რომელიც გახდა მატჩის გმირი, მან ერთ წუთში თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. დამატებითი დრო მიმდინარეობდა გერმანელთა აშკარა უპირატესობით და დიტერ მიულერმა შეასრულა „ჰეთ-თრიკი". საბოლოოდ 4-2 გაიმარჯვა გფრ-ის ნაკრებმა.

მე-3 ადგილისათვის ერთმანეთს ჰოლანდიისა და იუგოსლავიის ნაკრებები შეხვდნენ. ანგარიში წაიყვანეს ჰოლანდიელებმა, გეელსის დარტყმით შეხვედრის 27-ე წუთზე. ჰოლანდიელებმა გააძლიერეს შეტევები და კროლის გადაცემით ვ. კერჰოკმა ანგარიში გაზარდა — 2-0. პირველი ნახევრის დასასრულ მცველი კატალინსკი ამცირებს ანგარიშს 2-1. ამ შეხვედრაში გაიბრწყინა ჯაიჩმა, რომლის საჯარიმო დარტყმის შემდეგ მატჩის 83-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 2-2. დამატებით დროში ჰოლანდიელები უკეთ გამოიყურებიან და კრუიფის არყოფნაში ლიდერად იქცა გეელსი, რომლის დარტყმის შემდეგ, შეხვედრის 107-ე წუთზე გამარჯვების გოლი გავიდა 3-2 და ჰოლანდიის ნაკრები ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა.

***ფინალი.*** ჩეხოსლოვაკია — გფრ 2-2 (7-5 პენ.).

***ჩეხოსლოვაკია:*** ვიქტორი, პივარნიკი, ჩაპკოვიჩი, ონდრუში, გიოგი, დობიაში (ვესელი 94), პანენკა, მიოდერი, მასნი, შვეგლიკი (იურკემიკი, 80), ნეჰოდა.

***გფრ:*** მაიერი, ფოგთსი, დიტცი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბონჰოფი, ვიმერი (ფლოე, 46), ბეერი (ბონგარტცი, 80), ჰიონესი, დ. მიულერი, ჰოლცენბაი.

***გოლები:*** შვეგლიკი 8 (1-0), დობიაში 25 (2-0), დ. მიულერი 27 (2-1), ჰოლცენბაი 90 (2-2).

***11-მეტრიანი გაიტანეს:*** მასნი, ნეჰოდა, ონდრეში, იურკემიკი, პანენკა, ბონჰოფი, ფლოე, ბონგარტცი. ჰიონესმა კარს ააცდინა.

***მსაჯი:*** გონელა (იტალია).

მე-8 წუთზე ჩეხოსლოვაკიელთა კაპიტანმა ონდრუშმა განახორციელა გრძელი გარღვევა, გადააწოდა ბურთი შვეგლიკს და ანგარიში გახსნა. ხოლო 25-ე წუთზე დობიაშის დარტყმას მეორე გოლი მოჰყვა — 2-0. ამრიგად, ისევე როგორც ნახევარფინალში, ახლაც გფრ-ის ნაკრებმა შეძლო რთული მდგომარეობიდან გამოსვლა. ჯერ დ. მიულერმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა, შემდეგ გაიბრწყინა მეკარე ვიქტორმა, რომელმაც არაერთი „მკვდარი" ბურთი აიღო. შეხვედრის ბოლო წამებზე მისი კარისკენ დაინიშნა კუთხური, რომელიც ჰოლცენბაიმ თავურით კარში გაგზავნა და გერმანელებმა ანგარიში გაქვითეს. დამატებით დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. თერთმეტმეტრიანები უკეთ შეასრულეს ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა, ხუთივე თერთმეტმეტრიანი გაიტანეს (მასნიმ, ნეჰოდამ, ონდრუშმა, იურკემიაკმა და ჰანენკამ), ხოლო გერმანელი ჰიონესის დარტყმა კარს ასცდა. ამრიგად, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გახდა ევროპის ჩემპიონი.

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს 34 წლის მეკარე ვიქტორი.

ფინალური ტურნირის შემდეგ სპეციალისტებმა დაასახელეს სიმბოლური ნაკრები: ვიქტორი, დობიაში, ონდრუში, ბეკენბაუერი, კროლი, ობლაკი, ბონჰოფი, პოპივოდა, დ. მიულერი, მასნი, ნეჰოდა.



პანენკას გამარჯვების 11-მეტრიანი...

## ტექნიკური შედეგები

### შესარჩევი თამაშები

**I ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხოსლოვ. | 6 | 4 | 1 | 1 | 15-5 | 9 |
| 2. ინგლისი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-3 | 8 |
| 3. პორტუგალია | 6 | 2 | 3 | 1 | 5-7 | 7 |
| 4. კვიპროსი | 6 | 0 | 0 | 6 | 0-16 | 0 |

**II ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უელსი | 6 | 5 | 0 | 1 | 14-4 | 10 |
| 2. უნგრეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 15-8 | 7 |
| 3. ავსტრია | 6 | 3 | 1 | 2 | 11-7 | 7 |
| 4. ლუქსემბ. | 6 | 0 | 0 | 6 | 7-28 | 0 |

**III ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუგოსლ. | 6 | 5 | 0 | 1 | 12-4 | 10 |
| 2. ჩრდ.ირლან. | 6 | 3 | 0 | 3 | 8-5 | 6 |
| 3. შვედეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-9 | 6 |
| 4. ნორვეგია | 6 | 1 | 0 | 5 | 5-15 | 2 |

**IV ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-6 | 9 |
| 2. რუმინეთი | 6 | 1 | 5 | 0 | 11-6 | 7 |
| 3. შოტლანდია | 6 | 2 | 3 | 1 | 8-6 | 7 |
| 4. დანია | 6 | 0 | 1 | 5 | 3-14 | 1 |

**V ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 14-8 | 8 |
| 2. პოლონეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 8 |
| 3. იტალია | 6 | 2 | 3 | 1 | 3-3 | 7 |
| 4. ფინეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-13 | 1 |

**VI ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრკ | 6 | 4 | 0 | 2 | 10-6 | 8 |
| 2. ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 11-5 | 7 |
| 3. თურქეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-10 | 6 |
| 4. შვეიცარია | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 3 |

**VII ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 6 | 3 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 2. გდრ | 6 | 2 | 3 | 1 | 8-7 | 7 |
| 3. საფრანგეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-6 | 5 |
| 4. ირლანდია | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 4 |

**VIII ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გფრ | 6 | 3 | 3 | 0 | 14-4 | 9 |
| 2. საბერძნეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 12-9 | 7 |
| 3. ბულგარეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 12-7 | 6 |
| 4. მალტა | 6 | 1 | 0 | 5 | 2-20 | 2 |

**მეოთხედფინალი**

იუგოსლავია — უელსი 2-0 და 1-1
ჰოლანდია — ბელგია 5-0 და 2-1
გფრ — ესპანეთი 1-1 და 2-0
ჩეხოსლოვაკია — სსრკ 2-0 და 2-2

**ნახევარფინალი**

ჩეხოსლოვაკია — ჰოლანდია 3-1 (დ.დ.)
გფრ. — იუგოსლავია 4-2 (დ.დ.)

**მატჩი მესამე ადგილისათვის**

ჰოლანდია — იუგოსლავია 3-2 (დ.დ.)

**ფინალი**

ჩეხოსლოვაკია — გფრ 2-2 (7-5 პენ.).

***ვეფხვია ჯალაღონია,***
*სოფ. ფშაფი*

*ფოტოები „ლელოს" არქივიდან.*



# დევენპორტი და სამპრასი


დევენპორტი


სამპრასი

უიმბლდონის ქალთა და ვაჟთა ტურნირები ამჯერად მეტად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ეს თუნდაც იმიტომ მოხდა, რომ ქალთა შეჯიბრებას პირველი ტურიდანვე გამოეთიშა პირველ ნომრად განთესილი მარტინა ჰინგისი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქალთა წამყვან ჯგუფში დიდი გადაადგილებები მოხდებოდა. ვაჟებში კი უძლიერესებმა ბოლომდე გაიკვლიეს გზა.

ქალთა ფინალში მეტად საინტერესო ბრძოლა გაიმართა 23 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ ლინდსეი დევენპორტსა (აშშ) და 30 წლის ლეგენდარულ შტეფი გრაფს შორის. გრაფმა ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე გამოაცხადა, რომ ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი უიმბლდონი, მაგრამ ლამის გავიდა... პირველ ადგილზე! დიდი შთაბეჭდილება დატოვა მისმა მოგებამ ჯერ ვენუს უილიამსთან (აშშ), შემდეგ კი მარიანა ლუჩიჩთან (ხორვატია). ფინალში ვეტერანს მაინც აღარ ეყო ძალა. დევენპორტმა გაიმარჯვა ანგარიშით 6:4, 7:5 და დიდი ფულადი პრიზის მოგებასთან ერთად დაიბრუნა პირველი ადგილი მსოფლიო რეიტინგ-ლისტში.

ვაჟთა შორის აღდგა კონკურენცია გამოჩენილ ამერიკელ ჩოგბურთელებს პიტ სამპრასსა და ანდრე აგასს შორის. თუ სამპრასი ამ ტურნირის წინ მსოფლიოს №1 ჩოგანის წოდებას ინარჩუნებდა, აგასი უკანასკნელად ამ სახელს... 1995 წელს ფლობდა. შემდეგ კი ისე დაეცა, რომ მეორე ასეულში (უფრო ზუსტად, 140-ე ადგილზე) აღმოჩნდა. შემდეგ იგი მძლავრი ნახტომებით დაიძრა და უიმბლდონის წინ მსოფლიოში №4 ჩოგბურთელად ითვლებოდა. ახლა იგი გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი გამარჯვება ნახევარფინალში პატრიკ რაფტერთან (ავსტრალია).


...აგასი მაინც პირველია

ფინალური მატჩი სამპრასსა და აგასის შორის სამპრასის უპირატესობით წარიმართა, მან მოიგო ანგარიშით 6:3, 6:4, 7:5 და მეექვსედ გახდა უიმბლდონის ჩემპიონი, საერთოდ კი, უკვე მეთორმეტედ მოიგო „დიდი მუზარადის" ტურნირი.

და აი, რა არის უცნაური: ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების მიუხედავად, ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციის რთული სტატისტიკური გამოთვლების შედეგად სამპრასმა დაკარგა პირველი ადგილი მსოფლიო „რეიტინგ-ლისტში" და გადავიდა მესამეზე, ახლა პირველი აგასი გახდა, მეორე კი რაფტერი.

## უყვართ თუ არა ინგლისელებს ჩოგბურთი?

ინგლისში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო იმის გამოკვლევა, თუ რამდენად არიან გარკვეულები ინგლისელები ჩოგბურთის საკითხებში. ათიდან რვა გამოკითხულმა არც კი იცოდა, ვინ გაიმარჯვა შარშანდელ უიმბლდონში ერთეულთა თანრიგში. 10 პროცენტი საერთოდ არც ერთ ინგლისელ ჩოგბურთელს არ იცნობდა. ამიტომ გამომკითხველებმა გამოკითხულებს გაუგეს კიდეც – ინგლისელმა ჩოგბურთელმა ხომ უიმბლდონში ბოლოს 63 წლის წინათ გაიმარჯვა.


## „ტოტო-ლოტო" – მილიონთა თამაში!

*4 ივლისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეექვსე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**5. 10. 18. 26. 31. 36.**
3 ციფრი – 1.40 ლარი.
4 ციფრი – 12.40 ლარი.
5 ციფრი – 1355.90 ლარი – გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

**„ჯეკ-პოტი" 36 079 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **5. 1. 2. 1. 0. 9. 5.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 11 ივლისს.

ტირაჟის დროს მომენტალური ლატარიების „გოლი 98"-ის და „ოლიმპის" მოუგებელი ბილეთების გათამაშებისას აღნიშნული ლატარიების ბილეთების კომპლექტები და 26 სექტემბერს ჩასატარებელ პირველ ტელეგათამაშება „გოლი + ოლიმპი"-ზე დასწრების უფლება წილად ხვდათ:
ლატარია „ოლიმპ"-ში „მანჩოს" (ასავალ-დასავალი, თბილისი) – ბილეთის №082671
მერაბ ჭეიშვილს (თბილისი) – ბილეთის №070621
ლატარია „გოლი-98"-ში ზურაბ ქარჩავას (ოზურგეთი) – ბილეთის № 02415-187
მერაბ ქურდაძეს (თბილისი) – ბილეთის № 026169-172. ჩააბარეთ მოუგებელი ბილეთები გამავრცელებლებს! გათამაშება გაიმართება ყოველ კვირადღეს!
***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი


## ალექსანდრე ბლაგიძე: „დამერწმუნეთ, იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება!"

*(მესამე გვერდიდან)*

*წაიყვანა, მარტო ცხოვრობდა, დაჯდეს და იმეცადინოსო.*

*გაირბინა წლებმა. მახსოვს ის დრო, მე და ტიგრანი მოსკოვში ქუჩაში მივდიოდით, ცნობილი დიდოსტატი იური ავერბახი შეგვხვდა, გავაცანი, ავერბახს ვუთხარი: „დამერწმუნეთ, ტიგრანი მსოფლიო ჩემპიონი გახდება!" მართლაც ხომ გახდა.*

*ამის შემდეგ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მიხსენებდა და წერილებს მწერდა. ენატრებოდა თბილისი და მისი მოჭადრაკეები, რომლებიც 1959 წელს ასე თანაუგრძნობდნენ, როცა რუსთაველის თეატრში გამართულ საკავშირო პირველობაზე ჩემპიონობა მოიპოვა. მხიარულად იხსენებდა ასეთ შემთხვევას: ერთხელ დილაადრიანად ერთმა თბილისელმა გულშემატკივარმა მიაკითხა, სახელად არუთინამ (მესაათედ რომ მუშაობდა) და უზარმაზარი ქვაბით მიუტანა... ხაში, ტურნირის ყველა მონაწილესა და მათ მრავალრიცხოვან მწვრთნელებს რომ ეყოთ! ეს კერძი მაშინ ბევრმა პირველად იგემა.*

*ხუმრობით ამბობდა, ვისთანაც გნებავთ, დადებითი ანგარიში მაქვს, საშა ბლაგიძესთან კი ორით ოთხს ვაგებო. კიდევ კარგი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი არ გახდა, თორემ წოდებას აუცილებლად ჩამომართმევდაო.*

*და რაოდენ სამწუხაროა, რომ ესოდენ სახელოვანი მოჭადრაკე 55 წლის ასაკში გამოგვეთხოვა. იგი ხომ კიდევ უამრავ წარმატებას მიაღწევდა.*

## ტიგრან პეტროსიანის მემორიალი

*პირდაპირ საოცარია – მემორიალზე გათამაშებული 45 პარტიიდან 42 ყაიმით დამთავრდა! ასეთი „მშვიდობისმოყვარე" ტურნირი ჭადრაკის ისტორიას არ ახსოვს.*

*9 შესაძლებლიდან 5-5 ქულით პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს ბორისლავ ივკოვმა (იუგოსლავია) და ლაიოშ პორტიშმა (უნგრეთი). მათ 8-8 ყაიმი და თითო მოგება აქვთ. მე-3-8 ადგილები გაიყვეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა ვასილ სმისლოვმა (რუსეთი), ბორის სპასკიმ (საფრანგეთი), რომლებმაც ყველა პარტია (!) ყაიმით დაამთავრეს, აგრეთვე ვლასტიმილ ჰორტმა (გერმანია), ვიტალი ცეშკოვსკიმ და იური ბალაშოვმა (ორივე – რუსეთი). მათ 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს. ბენტ ლარსენმა (დანია) და სვეტოზარ გლიგორიჩმა (იუგოსლავია) თითო პარტია წააგეს და დანარჩენი ყაიმით დაასრულეს, მე-9-10 ადგილები გაიყვეს.*

## პეტრე ოქონაშვილი



გარდაიცვალა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ღვაწლმოსილი პედაგოგი პეტრე ოქონაშვილი. დაიბადა 1938 წელს მცხეთაში. საშუალო სკოლის და ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ – 1958 წლიდან მსახურობდა არმიაში. დაამთავრა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლა, 1967 წელს კი – ინსტიტუტი. 1970 წლამდე სწავლობდა ამავე სასწავლებლის ასპირანტურაში, გარდაცვალებამდე უძღვებოდა სპორტის ისტორიის კურსს რუსულ სექტორზე. ერთდროულად მიჰყავდა სასწავლო კურსი სპორტის ორგანიზაციის საგანში. ერთდროულად პ. ოქონაშვილი დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოში სანიჩბოსნო სპორტის განვითარებისათვის, იყო მსაჯთა საკავშირო კოლეგიის წევრი სანიჩბოსნო სლალომში, სპორტის ამ სახეობაში საქართველოს ნაკრები გუნდის კონსულტანტი, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის" ერთ-ერთი აქტიური წევრი.

დაუღალავად შრომობდა სპორტული მოძრაობის ორაგნიზაციის საგანში სასწავლო მასალით აკადემიის სტუდენტთა უზრუნველყოფისათვის. მრავალი გამოქვეყნებული და ხელნაწერი შრომა დაუტოვა აკადემიის სტუდენტებსა და სპეციალისტებს.

პ. ოქონაშვილის მთელი ოჯახი თავისი საქმიანობით სპორტული იყო, მისმა ვაჟმა და ქალიშვილმა თავიანთი შეგნებული ცხოვრება მთლიანად სპორტს დაუკავშირეს.

ფიზიკური აღზრდის დარგში ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის, სპორტის ცნობილი ენთუზიასტის, სანიმუშო მშობლისა და მოქალაქის პეტრე ოქონაშვილის ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი ნამოწაფრების, კოლეგებისა და ახლობლების ხსოვნაში.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**6 ივლისი, პარასკევი.**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ასპარეზი (22.20), ***II არხი.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი (20,00). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***НТВ плюс футбол.*** ამერიკის თასი (Copa America): იაპონია – ბოლივია (13.15, 19.45), პარაგვაი – პერუ (15.00, 22.40). „ჩემპიონთა ლიგის არქივი"-98-99. „აიაქსი" – „ოლიმპიაკოსი" (16.55). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ვაჟები. წყვილთა ფინალი (14.35), ქალები. ფინალი (22.25). ***ESPN.*** ფეხბურთი ბრაზილიიდან: „ბოტაფოგო" – „ვასკო და გამა" (3.00), კალათბურთი. ნბა (6.00, 8.00). ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 23.00), „მსოფლიოს ფეხბურთის ლეგენდები" (2.00).

**7 ივლისი, ოთხშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***ევრიკა.*** „სტუმარი" (21.00). ***НТВ плюс футбол.*** „ამერიკის თასი": ბრაზილია – ჩილე (13.15, 21.10), მექსიკა – ვენესუელა (15.30, 23.15), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები" (20.55), ***НТВ плюс спорт.*** მძლეოსნობა, საერთაშორისო შეჯიბრება (გადაცემა იტალიიდან). ***ESPN.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: უნგრეთი – რუმინეთი (14.00), ხორვატია – მაკედონია (16.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (23.00).

**8 ივლისი, ხუთშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30). ***ევრიკა.*** „ფეხბურთის ლეგენდები" (21.30). ***НТВ плюс футбол.*** „ამერიკის თასი": არგენტინა – ურუგვაი (13.15, 22.05), კოლუმბია – ეკვადორი (20.10). „ჩემპიონთა ლიგის არქივი"-98-99 (0.20) – „კაიზერსლაუტერნი" – „ეინდჰოვენი". ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. ვაჟთა ფინალი (22.15). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (2.00, [illegible].30). ფეხბურთი. ბრაზილიის ფეხბურთი „ფლამენგო" – „ვასკო და გამა" (11.30), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: ჩეხეთი – ესტონეთი (9.30), ავსტრია – ისრაელი (15.30), ჩეხეთი – ესტონეთი (23.00). ***EUROSPORT.*** ველორბოლა. „ტურ დე ფრანსი" (12.30, 18.00, 0.00).

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაუგრძნობს თბილისის პრემიერს გია შერაძეს სიდედრის გარდაცვალების გამო.**

**თარაზულად:** 4. თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი 1937-48 წლებში, 7. ბრაზილიელი მეკარე, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 8. კიევის „დინამოს" და სსრკ ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 12. „პარმას" მცველი, 15. მოსკოვის ცსკა-ს მეკარე 1954-61 წლებში მელბურნის ოლიმპიადის მონაწილე. 22-24. „ჩელსის" ფრანგი მცველი, 25. წარსულში გამოჩენილი რუსი მწვრთნელი, 27. 1954 და 1957 წლების ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი, 32. იტალიის კლუბი. 33. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი. 35. „არსენალის" ნიგერიელი ფეხბურთელი, 36. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, 37. სახელგანთქმული არგენტინელი ფორვარდი, 39. 1971 წლის „ოქროს ბუცის" მფლობელი, 41-44. „ეინდჰოვენის" ნახევარმცველი, 45. თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი 1966-75 წლებში, 46. წარსულში გამოჩენილი შოტლანდიელი მწვრთნელი, 53. თბილისის „დინამოს" მცველი 50-იან წლებში, ამჟამად მწვრთნელი, 56. თბილისის „დინამოს" მეკარე 1936-39 წლებში. 60. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი, 61. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 63. ფიფა-ს პრეზიდენტი 1974-98 წლებში.

**შვეულად:** 1. ჰოლანდიელი თავდამსხმელი, 1974 და 1978 წლების მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 2. „ვალენსიას" რუმინელი თავდამსხმელი, 4-18. ურუგვაელი თავდამსხმელი, 1950 წლის ჩემპიონი, 5-19 ირანის ნაკრების თავდამსხმელი, 7. ესპანეთის კლუბი, 9. თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი 1954-67 წლებში, 10. არგენტინელი მეკარე, 1990 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 11. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, 12. [illegible] ფეხბურთელი, 26. რუსი თავდამსხმელი, მელბურნის ოლიმპიადის და ევროპის 1960 წლის ჩემპიონი. 29. ჰოლანდიელი მცველი, მსოფლიოს 1974 და 1978 წლების ვიცე-ჩემპიონი. 30. თურქეთის კლუბი, 31. იტალიელი მწვრთნელი, 37. „სელტას" სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 38. ორგანიზმის შეგუება არსებობის ახალ განსხვავებულ პირობებთან, 39. ბელგიის კლუბი, 40. საბერძნეთის კლუბი, 42. „ფიორენტინას" თავდამსხმელი, 48. იტალიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატში. 51. იტალიელი მცველი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 52. ჰოლანდიელი მცველი, 1974 და 1978 წლების მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 58. მსოფლიოს VIII ჩემპიონატის თილისმა, 59. შვეიცარიის კლუბი.

**დიაგონალურად:** 3-20. 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 23-13. „იუვენტუსის" პრეზიდენტი, 32-14. ბრაზილიელი ფორვარდი, 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 16-28. „ოქროს ბურთის" 1996 წლის მფლობელი, 15-34. მარსელის „ოლიმპიკის" იტალიელი თავდამსხმელი, 21-6 ესპანეთის კლუბი, 37-55. საქართველოს კლუბი, 43-54. ჰოლანდიელი მცველი, ევროპის 1988 წლის ჩემპიონი, 62-49. თბილისის „დინამოს" მეკარე 70-80-იან წლებში, 56-40. ცნობილი შოტლანდიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 57-47. 1969 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი, 50-64. საბჭოთა მეკარე 1963 წლის [illegible].

შეადგინა [illegible] ფირცხალავამ



**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**



## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. b5! 1. ...მფe5 2. ლe3+ მფd6 3. ლe7X.
1. ... ... 2. ...მფf6 3. ლe6X.
1. ... c3 2. ებ4+ მფe5 3. მd7X.
2. ... მფe6 3. ლc3X.

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, შ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელო" საგაზეთო-კომპიუტერული ხაზი: [illegible]